ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ბიძინა ივანიშვილი სუფსაში 150 წლის ჭადრისა და მაგნოლიების ყიდვას აპირებს?

გვ.5



2 დეკემბრიდან

თომას ჰარისი

კრავთა დუმილი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




ორშაბათი, 5 დეკემბერი, 2016 №288 (7213) ფასი: 50 თეთრი

# „თუ ლარმა გაუფასურება განაგრძო, ქვეყანაში სოციალური აფეთქება გარდაუვალია“



**ამირან გიგუაშვილი:**
„ხელისუფლება თავად აღმოჩნდა დენთის კასრზე და, საკმარისია მცირე ნაპერწკალიც კი, რომ ამ კასრმა იფეთქოს“

გვ.7

## ზვიად კუპრავა: „მოსკოვი საქართველოში იდეოლოგიურ ომს იწყებს“

რატომ შემოდის რუსული ბანკი საქართველოში

გვ.4

„ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი თავისუფალი მოქალაქე ამა თუ იმ ფორმით ბანკებთან არის დაკავშირებული, რასაც რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს. მაგალითისათვის გეტყვით, იანდექს-ტაქსი თავისი დაბალი ტარიფით გამოირჩევა. არ არის გამორიცხული, ალფა-ბანკმა მიბაძოს ამ კომპანიას და დაბალი ტარიფებით გასცეს სესხები“



## შალვა შავგულიძე: „ახალი საკონსტიტუციო კომისიის მიმართ დიდი მოლოდინი არ მაქვს“

გვ.2



გვ.7



## ზურაბ ქვანიას საქმის ექსპერტი ლევან ჩაჩუა უზენაესმა სასამართლომაც გაამართლა

## ლადო პაპავა: „მთავრობის ლარიზაციის გეგმა კავშირშია ლარისვარდნასთან“

გვ.6



აფხაზეთში ვითარება იძაბება

## აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერი სოჭში დააკავეს



გვ.4

ISSN 1987-9385





## თეა წულუკიანი დაქორწინდა

გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# შალვა შავგულიძე: „ახალი საკონსტიტუციო კომისიის მიმართ დიდი მოლოდინი არ მაქვს“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კვლავ საჯილდაო ქვა იქნება.

***– ბატონო შალვა, არასაპარლამენტო ოპოზიცია აგრძელებს შეხვედრებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით. საუბარია ახალ თემატურ ერთობაზე. რამდენად რეალურია, რომ ხელისუფლებამ, რომელსაც აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ამ მიმართულებით გადადგას რეალური ნაბიჯები?***

– კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დანაპირები იყო საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა ქვეყანაში. არსებული საარჩევნო კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელისუფლებო ძალამ, მიღებული 48%-ის მიუხედავად, მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. სწორედ ეს დაადასტურა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა.

აქ სამართლიანობაზე საუბარი ზედმეტია და ამას დიდი სპეციალისტობა არ სჭირდება. ჩვენი მუშაობის მიზანი ამ უსამართლობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ოპოზიციური, კვალიფიციური პარტიების ფორმატზეა საუბარი,



თუმცა ჩვენ სხვა ნებისმიერ პარტიასთან სათანამშრომლოდ ვართ მზად. ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ყველა მიმართულებით და ეს შეეხება მთლიანად საარჩევნო სისტემას, როგორც ადგილობრივ, საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო საარჩევნო სისტემას.

ხელისუფლებასთან გვექნება კომუნიკაცია, თუმცა, რამდენად იქნება იქიდან შემხვედრი ნაბიჯები, ამას რეალობა გვაჩვენებს. ასევე მჭიდრო ურთიერთობა გვექნება არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

***– საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაანონსებულია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები იგეგმება. შეიძლება კვლავ ძალაში იყოს „ქართული ოცნების“ განაცხადი, რომ ისინი 2020 წლისთვის შეცვლიან საარჩევნო სისტემას?***

– დიახ, ასეთი განაცხადი იყო ხელისუფლების მიერ გაკეთებული, თითქოს 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეს ცვლილებები ვერ ესწრებოდა, არ ფლობდნენ საკონსტიტუციო ცვლილებების შესაძლებლობას იმ პარლამენტში და ამიტომ ითქვა, რომ გადაიდებოდა, მაგრამ დღეს რამდენად გაახსენდებათ ეს დანაპირები, რთული სათქმელია იმ ფონზე, როდესაც ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა არადამაიმედებელი განცხადებები საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან. ჯერ უცნობია, როგორი პოზიცია ექნება „ქართულ ოცნებას“ ამ საკითხზე.

რაც შეეხება საკონსტიტუციო კომისიას, ალბათ, იქნება მსჯელობა საარჩევნო კანონმდებლობაზე, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად სამართლიანი მოდელისკენ იქნება მიმართული მათი მუშაობა. წინა პარლამენტის პირობებშიც შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, მაგრამ, რა შედეგიც დადო ამ კომისიამ, ყველა კარგად ვხედავთ.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა კობახიძემ, განაცხადა, რომ სწორედ კონსტიტუციის გადასინჯვა იქნება ახალი პარლამენტის მთავარი გამოწვევა და, მას თუ გააუმჯობესებენ, თორემ ვერაფერს ავნებენ. თქვენ რას ელით?***

– იმ კომისიამ, რომელიც იყო შექმნილი, არაფერი გააკეთა. ახალი კომისიის მიმართაც დიდი პოზიტიური მოლოდინი არ მაქვს.

***– რატომ?***

– აქამდე ერთადერთი მკაფიო განაცხადი, რომელიც გაკეთდა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ეკუთვნოდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და შემდეგ ეს დაადასტურა ბატონმა კობახიძემ, ვგულისხმობ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევის წესის შეცვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას.

თუ ამ მიმართულებით აპირებს „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მხოლოდ ერთადერთი მიმართულებით განახორციელებს ცვლილებას, რომ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს აბსოლუტურად ყველა ინსტიტუცია. თუ უმრავლესობა დანიშნავს პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ეს იქნება პირდაპირ მისი გავლენის ქვეშ მოქცევა და სხვა არაფერი.

***– „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით ამ საკითხზე პოზიცია ერთგვაროვანი არ არის და ისინი საუბრობენ საზოგადოებასთან ფართო კონსენსუსზე, რის შედეგადაც მოხდება გადაწყვეტილების მიღება. თქვენ არ გჯერათ ამ დაპირების?***

– ეს, ალბათ, იქნება მოჩვენებითი აზრთა სხვადასხვაობა. თუ ეს ნება არ შეიცვალა ყოფილი პრემიერის მხრიდან, ეს კომისიაც და ეს პარლამენტიც ამ ნების შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.



# ვიქტორ დოლიძე: „რამდენი ტალახიც უნდა ისროლონ, ჩემთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია“

– რამდენი ტალახიც უნდა ისროლონ, ჩემთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში განაცხადა.

კითხვას, მოქმედი პრემიერის კრიტიკის შემდეგაც რჩება თუ არა ის იმ აზრზე, რომ კაბელების საქმეზე პირების დაკავება წინა პრემიერის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიქტორ დოლიძემ ასე უპასუხა:

– მე არ მიმაჩნია სწორად ამ თემით სპეკულირება საერთოდ. მე განცხადება გავაკეთე. ჩემი აზრი ცნობილია, ვამთავრებ ამასთან დაკავშირებით საუბარს და არც ახლა ვაპირებ გაგრძელებას.

კიდევ ერთი მინდა ვთქვა, რომ არავისზე ნაკლებად მე ეს ამბავი, ბუნებრივია, არ მტკივა. მე არ გამიწყვეტია ამ ხალხთან ურთიერთობა, კომუნიკაცია და ამ თემით სპეკულირება, ვფიქრობ, არ არის სწორი, ამიტომ მე სხვებს ნამდვილად ვერ დავემსგავსები და, რამდენი ტალახიც არ უნდა ისროლონ, ჩემთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ჩემთვის მნიშვნელოვანია იმ საქმის კეთება, რომელსაც ხელი მოვკიდე და დარწმუნებული ვარ ამ საქმის წარმატებაში, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

◆ ◆ ◆

რამდენიმე დღის წინ ვიქტორ დოლიძემ მთავრობის ახალ შემადგენლობაში მისი წარდგენის შემდეგ კაბელების საქმეზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ კაბელების საქმეზე პირების დაპატიმრება იყო ყოფილი პრემიერის პერიოდში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით კი ვიქტორ დოლიძის მიერ კაბელების საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება ძალიან შორს იყო სიმართლისგან.

ინტერპრესნიუსი

# თეა წულუკიანი დაქორწინდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაქორწინდა. ამის შესახებ ინფორმაცია თავად მინისტრმა სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.



თეა წულუკიანმა ფეისბუქის პირად გვერდზე ქორწინების მოწმობისა და მეუღლის ფოტოც გამოაქვეყნა.

მინისტრის მეუღლე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყოფილი დირექტორი ნუგზარ კაკულიაა. იგი სასწავლო ცენტრს 2014 წლის 3 ნოემბრიდან 2016 წლის 12 სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა.

მინისტრის რჩეული მასზე 9 წლით უმცროსია. კაკულია 32 წლისაა, თეა წულუკიანი კი – 41-ის.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამჟამად მინისტრი შვებულებაშია და იტალიაში სწორედ ნუგზარ კაკულიასთან ერთად იმყოფება.

ნიუპოსტი

# აშშ-ის 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტში საქართველოს მხარდაჭერაზეა საუბარი

ამერიკის შეერთებული შტატების 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტში საქართველოს მხარდაჭერაზეა საუბარი.

კონგრესის ქვედა პალატამ დოკუმენტი 365 ხმით უკვე დაამტკიცა. დოკუმენტში დაფიქსირებულია მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

– საქართველო აშშ-ის ღირებული მეგობარია და არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ერთგულება ორივე ქვეყნის ორმხრივი ინტერესების წინ წაწევაში, მათ შორის საქართველოს შეიარაღებული ძალების განლაგებაში ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების ფარგლებში, – ნათქვამია აშშ-ის 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტში.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ აშშ კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და არ აღიარებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აშშ მხარს უჭერს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობას.



# 5-ბალიანი შტორმის შედეგად ყველაზე მეტად ბათუმის ბულვარი დაზარალდა



– შავ ზღვაში 5-ბალიანი შტორმის შედეგად ყველაზე მეტად ბათუმის ბულვარი დაზარალდა.

ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ პატარაძემ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ზარალი მიადგა ქობულეთის სანაპირო ზოლსაც.

– ყველაზე მეტი ზარალი შტორმმა ახალი ბულვარისა და ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიას მიაყენა. წუხელ ყველა შესაბამისი სამსახური გარეთ იყო და მუშაობდა, დღეს დილიდანაც მობილიზებულია ტექნიკა, სპეციალური სამსახურები, რომლებმაც დაიწყეს ბულვარის სასეირნო ბილიკების გაწმენდა. რამდენიმე ხანში ბულვარი ჩვეულ სახეს მიიღებს, – განაცხადა პატარაძემ.

მისივე თქმით, 2017 წელს ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყება.

– ფინანსები გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში, სადაც ყველაზე მეტად გვიტევს ზღვა, იქ დაიწყება ნაპირსამაგრი სამუშაოები და თავიდან აგვაშორებს ასეთი ტიპის დაზიანებებსა და ზარალს, – განაცხადა პატარაძემ.

ამ დროისთვის მიმდინარეობს ზარალის დათვლა.

20/30 ნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან იზორია პატრიარქს: „ჩვენი ჯარისთვის თქვენს ლოცვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საპატრიარქოში თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა მიიღო. უწმიდესმა სამინისტროს ახალი გუნდი დალოცა და ქვეყნის სამსახურში წარმატება უსურვა.**

პატრიარქთან საუბრისას თავდაცვის მინისტრმა უწყებაში დაგეგმილი რეფორმების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და უწმიდესს შეიარაღებული ძალების თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

— თქვენო უწმიდესობავ, ულრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ყოველდღიური მხურვალე ლოცვისთვის და იმ თანადგომისთვის, რომელსაც ქართული შეიარაღებული ძალები გრძნობს თქვენგან. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ლოცვას, იმიტომ, რომ ადამიანი ვერ იქნება თავგანწირული, თუ რწმენა არ აქვს, თუ შინაგანად ძლიერი არ არის.

ბუნებრივია, პირველ რიგში, ეს რწმენა აძლიერებს ქართველ ჯარისკაცს. ჩვენთან თითქმის ყველა დანაყოფშია ეკლესია, რომელიც უშუალოდ ჯარისკაცების ენერგიით, შრომით არის შექმნილი. ეკლესია გვაქვს ავლანეთშიც, რომელიც ასევე ჩვენი ჯარისკაცების მიერ არის აშენებული. თითოეული დანაყოფი, რომელიც იქ ექვს თვეში ერთხელ ჩადის, რაღაც ახალს სძენს ამ ეკლესიას, პირველ რიგში კი, თავად იძენს სულიერ სიმტკიცესა და რწმენას.

ჩემთვის და ჩვენი ჯარისთვის თქვენს ლოცვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ერის გაერთიანებისთვის, ქართული საქმისთვის, ქვეყნის მთლიანობისთვის, — განაცხადა ლევან იზორიამ.

გენერალური შტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ უწმიდესს ახლადდანიშნული მოადგილეები წარუდგინა და ახალ გუნდთან ერთად დასახული მიზნების განხორციელებას დაჰპირდა.

— ჩვენ აქ, თქვენთან, მოვედით, რომ კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ქართული მისწრაფება. არსებობს ქართული გამოთქმა, „ერი და ბერი“. ეს იქნება იმის დასაწყისი, რომ ჩვენი მაგალითით, „ერის და ბერის“ ერთად დგომით, იმ დიდი სახელმწიფო მიზნებისკენ ერთად მივისწრაფვოდეთ და მივაღწიოთ იმ სასურველ მიზნებს, რომელიც დღეს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე დგას.

თქვენ ჩვენი სულიერი მამა და მოძღვარი ბრძანდებით. თქვენს ლოცვებს დიდი ძალა აქვს. თქვენი ლოცვაკურთხევით გავაგრძელებთ იმ მართალ საქმეს, რომელიც დაწყებულია. მინისტრს კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო, ახლა დამტკიცდა ახალი მთავრობა და ჩვენ, როგორც ერთი გუნდი, გავაძლიერებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობას და, რა თქმა უნდა, თანამშრომლობას ეკლესიასთან.

ჩვენ, ასევე, გვყავს სხვა მრწამსის ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ შეიარაღებულ ძალებში და მათთან ერთად ჩვენ შევძლებთ გავაკეთოთ ის საქმე, რომელიც მიზნად გვაქვს დასახული, — განაცხადა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.

პატრიარქმა შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრა მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობაზე, შეიარაღებული ძალების განვითარებასა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც, უწმიდესის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამხედრო სამსახურის სრულყოფისთვის.

— ჩვენ ვემზადებით სინოდის სხდომისთვის, სადაც ერთ-ერთი საკითხი იქნება საკვირაო სკოლები. კვირასა და კვირის სხვა დღეებში, დღის მეორე ნახევარში, შეისწავლიან სალვთო სჯულს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიასა და ხელობას, მშენებლობას ან საოჯახო საქმიანობას. ეს ძალიან საჭიროა. ადამიანი ჯარიდან რომ წავა, მან უნდა შეინახოს თავისი ოჯახი, — განაცხადა უწმიდესმა.




ლევან იზორიამ და ვლადიმერ ჩაჩიბაიამ პატრიარქს, შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი მხატვრის რუსუდან ფეტვიაშვილის ტილო უსახსოვრეს, რომელიც სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი კოლექციიდან გახლავთ.

**კვირა.გე**

# აბაშიშვილი: „გვინდა, ფერეიდნელი ქართველების პროექტში გოგონებიც ჩაერთონ“



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენისა და ქართული ხალხური მუსიკის შემსწავლელი პროექტის დასკვნით ღონისძიებას დაესწრო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა.

პროექტს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“ ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც ფერეიდნიდან ჩამოსულმა ქართველმა ახალგაზრდებმა შეისწავლეს და დახვეწეს ქართული ენა, დაეუფლნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

პროექტი ახალგაზრდებისათვის ქვეყნის მასშტაბით ექსკურსიების მოწყობასა და საქართველოს ისტორიული ძეგლების გაცნობასაც ითვალისწინებდა.

როგორც გიორგი აბაშიშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, პრეზიდენტის ინიციატივით ეს პროექტი სამომავლოდაც გაგრძელდება და კიდევ უფრო გაფართოვდება.

— ამ ეტაპზე პროექტით სარგებლობის საშუალება მხოლოდ ვაჟებს აქვთ, მხოლოდ მათ შეუძლიათ ჩამოვიდნენ საქართველოში და მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. ჩვენი სურვილია, სამომავლოდ ამ პროექტში გოგონებიც ჩაერთონ და ფერეიდნიდან ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლის საშუალება მიეცეთ, — აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

პროექტის შემაჯამებელ შეხვედრაზე ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა ის ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს, რომლებიც პროექტის ფარგლებში შეისწავლეს.

პროექტის მონაწილე 12 ფერეიდნელ ქართველს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატებიც გადაეცა.

**ნიუპოსტი**

# ზალკალიანი: „სტოლტენბერგმა რუსეთს კვალიფიციური პასუხი გასცა“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანის განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ ახალ კონცეფციასა და 2013 წელს მიღებულ კონცეფციას შორის დიდი განსხვავება არ არის.

როგორც ზალკალიანმა გადაცემა „2030“-ში სტუმრობისას განაცხადა, კონცეფციაში ძირითადი აქცენტი ნატოს გაფართოების თემატიკაზეა გაკეთებული.

— კონცეფციაში ძირითადი აქცენტი ნატოს გაფართოებაზეა გაკეთებული, რომ რუსეთი ნატოს გაფართოებას ვერ შეეგუება, მაგრამ, ვფიქრობ, იენს სტოლტენბერგმა რუსეთს უაღრესად კვალიფიციური და კარგი პასუხი გასცა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ ნატო არის ორგანიზაცია, რომელშიც არცერთ მესამე ქვეყანას არ აქვს საშუალება, მისი გადაწყვეტილებების გადახედვა ან შეფერხება მოახდინოს.

საერთაშორისო სამართლის ნორმები აღიარებს სუვერენული ქვეყნის უფლებას, მისთვის ხელსაყრელი უსაფრთხოების სისტემა აირჩიოს. შესაბამისად, ნატოსკენ სწრაფვა საქართველოს უფლებაა და მეორე მხრივ არის ნატოს წევრი ქვეყნები, რომლებიც ამ უფლებას აღიარებენ, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ამასთან, როგორც ზალკალიანმა აღნიშნა, საქართველო არასოდეს შეეგუება იმას, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მოიხსენიებს.



# საპარლამენტო უმრავლესობა მთავრობის ეკონომიკურ გუნდს შეხვდა



საპარლამენტო უმრავლესობა პარტია „ქართული ოცნების“ ოფისში მთავრობის ეკონომიკურ გუნდს შეხვდა.

როგორც ინტერპრესნიუსს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა განუცხადეს, შეხვედრაში პარტიის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე მონაწილეობდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემა პარლამენტში წარდგენილი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი და ის ახალი ფინანსურ-ეკონომიკური ინიციატივები იყო, რომლებითაც მთავრობა გამოვიდა.

განხილვის საგანი იყო ლარის გაცვლითი კურსი და ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯები.

გარდა ამისა, კვირიკაშვილმა დეპუტატებთან ბრიუსელში გამართული შეხვედრების შესახებ ისაუბრა.

# გიორგი კვირიკაშვილი: „მედიათავისუფლება საქართველოსთვის ფუნდამენტურია“

— სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ ჩვენ გვქონდა სამი ნაციონალური არხი, რომლებსაც, სამწუხაროდ, მთავრობის ადმინისტრაცია მართავდა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მედიათავისუფლება საქართველოსთვის ფუნდამენტურია.

მისივე თქმით, დღეს საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა ციფრული მაუწყებლობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, დღეს საქართველოში 40-ზე მეტი ახალი ტელეკომპანიაა, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ.

— ახალი ტელეკომპანიის დაფუძნებას მხოლოდ 10 დღე სჭირდება და ამისთვის არ არის საჭირო ლიცენზია, საკმარისია მხოლოდ ავტორიზაციის ტექნიკური პროცედურის გავლა. რაც შეეხება რუსთავი 2-ს, ეს არის სასამართლო პროცესი. ჩვენი მხრივ, ჩვენ უზრუნველვყოფთ სასამართლო პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას. ამ პროცესის შედეგის მიუხედავად, ნებისმიერი ჩარევა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩვენი დღის წესრიგიდან გამორიცხული იქნება.

უკვე აღვნიშნე წინა შეხვედრაზე, აქ არის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი და ეს არხი არის არანაკლებად კრიტიკული, ვიდრე დამოუკიდებელი ტელეკომპანიები, რაც აჩვენებს საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხს, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**20/30 ნიუსი**

# დღეს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო პროექტი წარედგინება

დღეს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო პროექტი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები წარედგინება.

ბიუროს დღევანდელ სხდომაზე იმსჯელებენ, რა ფორმატსა და ვადებში მოხდება მათი განხილვა და დამტკიცება.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც მთავრობიდან პარლამენტში 30 ნოემბერს შევიდა, თან ერთვის:

საგადასახადო კოდექსში, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ კანონში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა და საბიუჯეტო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტები.

საბიუჯეტო პროექტის განხილვის მეორე ეტაპი, რომელიც პლენარული სხდომის ფორმატში 15 ნოემბრამდე უნდა გამართულიყო, პარლამენტში საერთოდ არ შემდგარა. მთავრობის მიერ 30 ნოემბერს წარდგენილი ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი კი, საბიუჯეტო კოდექსით და რეგლამენტით დადგენილი წესის თანახმად, დასამტკიცებლად პირდაპირ სესიაზე უნდა გავიდეს.

გარდა ამისა, სამი მოსმენით განხილვა და კენჭისყრა სჭირდება იმ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს ერთვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო პროექტისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ფორმატსა და პროცედურებზე დღევანდელ ბიუროზე შეთანხმდებიან.

**ინტერპრესნიუსი**



# ზვიად კუპრავა: „მოსკოვი საქართველოში იდეოლოგიურ ომს იწყებს“

## რატომ შემოდის რუსული ბანკი საქართველოში

შორენა მარსაგიშვილი



რატომ შემოდის რუსული ბანკი საქართველოში, რა გეგმები აქვთ ივანიშვილსა და ეფესბეს, რატომ შეაქვთ ცვლილებები ოკუპაციის შესახებ კანონში, რა გველოდება უახლოეს მომავალში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

***– რამდენიმე თვის წინ საქართველოში რუსული კომპანია იანდექს-ტაქსი შემოვიდა. ახლო მომავალში საქართველოში ალფა-ბანკი შემოდის, რომელიც, როგორც ამბობენ, ეფესბესთან არის კავშირში. რუსული კომპანიების გააქტიურების გამო ექსპერტთა ნაწილი შეშფოთებას გამოთქვამს. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ბოლო წლების განმავლობაში რუსულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს საქართველოში ფეხის მოკიდება. შარშან საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა რუსული გაზპრომის შემოყვანას. ეს პროექტი მხოლოდ საზოგადოების ძალისხმევის შედეგად შეჩერდა. არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რომ ხელისუფლებაში ყოფნა 4 წლით გაინაღდა. უახლოეს მომავალში გაზპრომის საკითხი ისევ აქტუალური გახდება. საქართველოში მისი შემოსვლა დაუშვებელია.

გაზი და ელექტროენერგია ისეთი თემებია, რომლებზეც მხოლოდ ეკონომიკა არ არის დამოკიდებული. აქ თუ გაზპრომი შემოვა, ჩათვალეთ, რომ თითოეული ჩვენი მოქალაქე რუსეთის მიერ იქნება კონტროლირებადი.

გაზპრომის შემოსვლის ჩაშლის შემდეგ აქ უკვე რუსული იანდექს-ტაქსი შემოვიდა და ახლა რუსეთს ბანკი შემოჰყავს საქართველოში. ამ ბანკის დახმარებით მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

***– მაგალითად, რა უნდა გააკეთონ ამ ბანკის დახმარებით?***

– ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი თავისუფალი მოქალაქე ამა თუ იმ ფორმით ბანკებთან არის დაკავშირებული, რასაც რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს. მაგალითისათვის გეტყვით, იანდექს-ტაქსი თავისი დაბალი ტარიფით გამოირჩევა. არ არის გამორიცხული, ალფა-ბანკმა მიბაძოს ამ კომპანიას და დაბალი ტარიფებით გასცეს სესხები.

***– მერე, რას მოიგებს ამით ალფა-ბანკი?***

– ალფა-ბანკი აქ ეკონომიკური მოგებისთვის არ შემოვა. მას სულ სხვა დანიშნულება ექნება. არ არის გამორიცხული, ამ კომპანიების დახმარებით რუსეთმა საქართველოში იდეოლოგიური ომი დაიწყოს – შეიქმნება ილუზია, რომ რუსეთი კარგია. ყველა იტყვის, რომ იანდექს-ტაქსი ქართულ კომპანიებზე ბევრად იაფად ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს, რუსული ბანკი, სხვა ბანკებისგან განსხვავებით, იაფ სესხებს გასცემს. ეს თავიდან ბოლომდე ეფესბეს პროექტია და ეს სამსახური ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ რუსეთის სიკარგეში დაგვარწმუნოს.

ეს დაბალი ტარიფები დროებითი იქნება. ასე მანამდე გაგრძელდება, სანამ მოსკოვს ილუზიების შექმნა დასჭირდება. როგორც კი სანადელს მიაღწევს საქართველოსთან მიმართებით, ამ კომპანიების დახმარებით თავის კლანჭებს ბოლომდე გამოაჩენს.

***– ალფა-ბანკი აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც მოღვაწეობს. როგორც ამბობენ, სწორედ ამას უკავშირდება ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა. თქვენ რას ფიქრობთ ამ კანონთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ცვლილებები?***

– ამ კანონის გაუქმებაზე საუბარი შემთხვევით არ დაწყებულა. არც ის არის შემთხვევითი, რომ საქართველოს პარლამენტში პატრიოტთა ალიანსი შევიდა. ეს ბიძინა ივანიშვილისა და ეფესბეს ერთობლივი პროექტია. მე მათ საქართველოს პარლამენტში მინი-დუმას ვეძახი. ისინი პარლამენტის ტრიბუნიდან გააჟღერებენ რუსეთის ფედერაციის სურვილებს.

ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა წინა მოწვევის პარლამენტში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაბედა. რუსეთის ამ დავალებას ისინი ახლა პატრიოტთა ალიანსის ხელით გააკეთებენ. ახლა ვინმე თუ უსაყვედურებს, რატომ დაიწყეთ ამ საკითხის განხილვაო, თავს გაიმართლებენ – ეს საკითხი საპარლამენტო ოპოზიციამ დააყენა და ჩვენ რა შუაში ვართო.

***– მთლად ალიანსისთვის გადაბრალება არ გამოვა. ეს ცვლილებები, პაატა ზაქარეიშვილის თამადობით, 2013 წელს იქნა შემუშავებული.***

– 2013 წელს ამაზე მართლაც დაიწყო საუბარი, მაგრამ მას სერიოზული სახე არ მიუღია. თავიდანვე მიხვდნენ, რომ ეს კანონი კრახისთვის იყო განწირული და ამის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცეოდნენ.

იმედი მაქვს, არც ამჯერად მოახერხებენ ცვლილებების შეტანას, მაგრამ, როცა საუბარი საქართველოში რუსული კომპანიების შემოსვლას ეხება, ბევრი ეჭვი ჩნდება.

***– პირადად თქვენ რა ეჭვი გიჩნდებათ?***

– ეს ეჭვი აღარაა, აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლება საქართველოში რუსული გავლენების გაძლიერებას ცდილობს. მჯერა, ამ პროვოკაციულ ქმედებებს ისევ საზოგადოება დაუპირისპირდება. ოკუპირებული რეგიონებისთვის შეზღუდვები აბსოლუტურად სამართლიანად დაწესდა თავის დროზე და მათი გაუქმება არ შეიძლება, მით უმეტეს ახლა, როცა რუსებმა გალი სამხედრო ქალაქად გამოაცხადეს. ამის საპასუხოდ ოკუპაციის შესახებ კანონი კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს.

ეს ხელისუფლება რომ ნორმალური ყოფილიყო, გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადებას დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა, ოფიციალური თბილისი კი ამ ფაქტს დუმილით შეხვდა. ოფიციალურ დონეზე არცერთი განცხადება არ გაკეთებულა. ეს ფაქტი მხოლოდ აფხაზეთის მთავრობის მეთაურმა ვახტანგ ყოლბაიამ გააპროტესტა, მაგრამ ისეთი რამე თქვა, ჯობდა, ხმა არ ამოეღო.

მან თქვა, რუსეთის წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს მოვახერხებთ, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რუსეთისთვის მოკრძალებული საყვედურის თქმააო. გასაგებია, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, მაგრამ ამას საკუთარი პირით მაინც ნუ აღიარებენ. „ქართულ ოცნებას“ რომ თავმოყვარეობა ჰქონოდა, ამ განცხადების დასრულებისთანავე გაათავისუფლებდა დაკავებული თანამდებობიდან ვახტანგ ყოლბაიას.

***– თუ მართლა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, აქვს აზრი განცხადებების გაკეთებას?***

– საქმეც ისაა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, უბრალოდ, მონდომებაა საჭირო. გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება პრემიერსა და პრეზიდენტს უნდა გაეპროტესტებინათ. პარლამენტს უნდა მიეღო მწვავე განცხადება. სათანადო რეაქცია უნდა გამოეხატა საგარეო საქმეთა სამინისტროსაც. ჩუმად არც თავდაცვის სამინისტრო და გენშტაბი უნდა ყოფილიყვნენ. ამის ნაცვლად ხელისუფლება სირაქლემის პოზაში ჩადგა, თავი სილაში ჩარგო და არაფერს იმჩნევს.

ამ დანაშაულის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებას ოკუპაციის შესახებ კანონში შეაქვს ცვლილებები. ეს არის ქვეყნის ღალატი და მეტი არაფერი. ამ მოღალატეებს მხოლოდ საზოგადოების პროტესტი თუ შეაჩერებს. ხალხი ხმას თუ არ ამოიღებს, ივანიშვილი აუცილებლად განახორციელებს იმ მზაკვრულ გეგმას, რომლის განსახორციელებლად 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა.

***– მზაკვრულ გეგმაში რას გულისხმობთ?***

– იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში. რუსეთი ქვეყნის ოკუპაციას ჩუმად ახორციელებს. ამაში მას ხელს „ქართული ოცნებაც“ უწყობს. 2008 წელს მათ საქართველოს წინააღმდეგ ღია ოკუპაცია განახორციელეს და ამით საბოლოოდ ჩამოიხსნეს სახიდან ნიღაბი. 2008 წლამდე რუსეთი რატომღაც მშვიდობისმყოფელად იყო მიჩნეული, არადა, მაშინაც ახორციელებდა ოკუპაციას. უბრალოდ, მაშინ რამდენიმე ოს და აფხაზ სეპარატისტს ამოეფარნენ და ისე წარმოაჩინეს, თითქოს მათ ჰქონდათ ქართველებთან პრობლემები. 2008 წლიდან რუსეთს მსოფლიო, როგორც ოკუპანტს, ისე მოიხსენიებს.

სამწუხაროა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება რუსეთს ოკუპანტად აღარ მოიხსენიებს. 2012 წლის შემდეგ ხელისუფლება აღარც მცოცავ ანექსიას აპროტესტებს.

***– როგორ არ აპროტესტებს, აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე საუბრობენ ხოლმე ამ თემაზე.***

– ეს არ არის პროტესტი. ისიც გაუგებარია, რა ფორმატია ეს. კარასინი და მისი მეგობარი ხან პრაღაში დასხდებიან ყავის დასალევად და ხან – ჟენევაში. მე არ ვთვლი, რომ ამ შეხვედრებზე აბაშიძე საქართველოს წარმოადგენს. ის არის რუსეთის ისეთივე წარმომადგენელი, როგორიც კარასინი. რუსეთის ორი წარმომადგენელი ყავის ან ჩაის თანხლებით იმაზე საუბრობს, მომავალში რამდენი მეტრით გადმოსწიონ საზღვარი, რომ ეს საქართველოს მოსახლეობამ ნაკლებად შენიშნოს. აი, ეს არის აბაშიძე-კარასინის ფორმატი.

იმ პირობებში, როცა გალი სამხედრო ქალაქად გამოცხადდა, საქართველოს ხელისუფლება ყურებზე უნდა დადგეს. მათ ყველა ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერი უნდა შეაწუხონ, ყველა საერთაშორისო ტრიბუნა უნდა გამოიყენონ ამის გასაპროტესტებლად. ჩვენ თუ ხმას არ ამოვიღებთ, ამ ფაქტს არც ნატო და არც გაერო არ გააპროტესტებენ. ჩვენი ხელისუფლების დუმილი კი ძალიან საეჭვოა.

***– ეს დუმილი სადამდე გაგრძელდება, სანამ ევრაზიულ კავშირში არ აღმოვჩნდებით?***

– ეს გეგმა ძალაშია. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ასეთი შეთავაზება რამდენჯერმე წამოვიდა. იცოდა რა „ქართულმა ოცნებამ“, რომ საზოგადოებას ამაზე მწვავე რეაქცია ექნებოდა, მოსკოვს უარით უპასუხა. რუსეთი თავისას აგრძელებს და, არ არის გამორიცხული, ევროკავშირის ნაცვლად ერთ დღეს რუსეთის კლანჭებქვეშ გავიღვიძოთ. რუსული კომპანიების შემოსვლაც მიუთითებს იმაზე, რომ ყველაფერი აქეთ მიდის.

თქვენმა მკითხველმა შეიძლება თქვას, წინა ხელისუფლების დროსაც ხომ შემოდიოდნენ საქართველოში რუსული კომპანიები და მაშინ რატომ არ იყო ეს საშიშიო. მაშინ შეთანხმებაში პირდაპირ იყო ჩადებული, რომ თუ ეს კომპანია საქართველოს ინტერესებს დაარღვევდა, საქართველოს ხელისუფლებას მათთან ცალმხრივად შეეძლო კონტრაქტის გაწყვეტა.

***– იქნებ ახლაც დაიდოს ასეთი შეთანხმება?***

– იმ დროს, როცა ხელისუფლება გაზპრომის შემოყვანას ცდილობს, როცა ოკუპაციის შესახებ კანონის გაუქმებას გეგმავს, საეჭვოა, ასეთი პუნქტი ჩადოს შეთანხმებაში. როგორც უკვე გითხარით, აქ რუსული კომპანიები დაბალი ტარიფებით შემოდიან, რაც შემდეგ საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად იქცევა. რუსულ ბანკი აქ ფინანსური მოგებისთვის არ შემოდის, ეფესბეს სულ სხვა მიზნები აქვს.

# აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერი სოჭში დააკავეს

## აფხაზეთში ვითარება იძაბება

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის პარტია ამცახარას პოლიტსაბჭომ გუშინ, 4 დეკემბერს, პროტესტი გამოხატა ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ასლან ბჟანიას დაკავების გამო. იგი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, სოჭში დააკავეს. რაულ ხაჯიმბას ოპონენტები დარწმუნებული არიან, რომ ამ საქმეში აფხაზეთის ხელმძღვანელობის ხელი ურევია.

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ოპოზიციური ძალების ბლოკმა, რომელშიც შედის პარტია ამცახარაც, 30 ნოემბერს გადადგომისკენ მოუწოდა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას. ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ხაჯიმბა ხლეჩს საზოგადოებას და აფერხებს აფხაზეთის განვითარებას. ოპოზიცია დაიმუქრა, რომ თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდა, 15 დეკემბერს სახალხო ყრილობას მოიწვევს. ხაჯიმბას თქმით, ის მაშინ წავა, თუ ამას მთელი ხალხი მოითხოვს.

ამ მოვლენებს რუსეთში ხაჯიმბას ვიზიტი და ბჟანიას დაკავება მოჰყვა.

– ორი დღის განმავლობაში სოჭის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები ეძებდნენ საბაბს ასლან ბჟანიას დასაკავებლად. იგი არაერთხელ იქნა მიყვანილი ქალაქის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში, სადაც მას დაკითხვას უწყობდნენ. დღეს ის დააკავეს საზღვრის გადამოკვეთისას საპასპორტო კონტროლის განხორციელების დროს. იგი წაიყვანეს ცალკე შენობაში, საიდანაც სოჭის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, – აცხადებს ამცახარას პოლიტსაბჭო.

ამცახარას მტკიცებით, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა სამართალდამცველმა მას დააბრალა მტრული საქმიანობა აფხაზეთისა და რუსეთის წინააღმდეგ.

ასლან ბჟანია უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსია. იგი მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში 2014 წელს. ბჟანია თავს მიიჩნევს არძინბას, ბაღაფშისა და ანქვაბის მიმდევრად და უპირისპირდება რაულ ხაჯიმბას.

– ეჭვს არ იწვევს, რომ ზომები ოპოზიციური ძალების ბლოკის თანათავმჯდომარე ასლან ბჟანიას წინააღმდეგ განხორციელდა აფხაზეთის ხელისუფლების შუამდგომლობით, – მიაჩნია ამცახარას, რომელიც სხვა ოპოზიციურ ძალებთან დღეიდან კონსულტაციებს იწყებს.

– აფხაზეთის პრეზიდენტს, კონსტიტუციის თანახმად, აქვს ნებაყოფლობით გადადგომის უფლება, – ამბობს აფხაზეთის ყოფილი პრემიერი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია აიტაირას თავმჯდომარე ლეონიდ ლაკერბაია.

მის გამონათქვამებს ხაჯიმბას მოსკოვში ბოლო ვიზიტის, რუსეთის პრეზიდენტის კომენტარებისა და აფხაზეთისათვის რუსეთიდან გაწეული დახმარების შესახებ აფხაზეთში დიდი აურზაური მოჰყვა.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ლეონიდ ლაკერბაია ამახინჯებს პუტინის განცხადებებს და არასწორ ინფორმაციას ავრცელებს იმ დახმარების თაობაზე, რომელსაც რუსეთი აფხაზეთს უწევს.

ლაკერბაიას მოწონება დაიმსახურა რუსეთის პრეზიდენტის შეფასებებმა. პუტინმა აფხაზეთში შექმნილ შიდაპოლიტიკურ ვითარებას რთული უწოდა, ამასთან, აღნიშნა, რომ ეს ნორმალური მოვლენაა ნებისმიერი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. ლაკერბაიაც თვლის, რომ აფხაზეთში საგანგაშო არაფერი ხდება, მთავარია, ხელისუფლებამ, ოპოზიციამ და ხალხმა არ დაუშვან 2014 წლის მოვლენების გამეორება.

ლეონიდ ლაკერბაიამ აფხაზეთის ხელისუფლებას უნიათობა დასდო ბრალად და აღნიშნა, რომ რუსეთიდან მისაღები 9-მილიარდრუბლიანი საინვესტიციო პაკეტიდან აფხაზეთმა მიაღწია მხარდაჭერას მხოლოდ 700 მილიონი რუბლის ღირებულების პროექტებზე. მიღებული ფინანსური დახმარებაც შეთანხმებულზე ბევრად ნაკლებია, რაც აფხაზეთის ხელისუფლების უმოქმედობის ბრალია.



ამას არ ეთანხმება აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო.

მთავრობის მონაცემებით, 2015-2017 წლებში აფხაზეთი რუსეთიდან იღებს ფინანსურ დახმარებას 9,3 მილიარდი რუბლის ოდენობით. დღემდე მიღებულია 2 მილიარდ 937 ათასი მილიონი რუბლი. გარდა ამისა, ხდება საშუალო და მსხვილი წარმოების ხელშეწყობა. ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 931,3 მილიონი რუბლის საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია. ესაა ხილის, ხორცის გადასამუშავებელი საწარმოები, მაკარონის ნაწარმის ფაბრიკები და სხვა.

როგორც ჩანს, აფხაზეთში პოლიტიკური დაძაბულობა გაგრძელდება, მით უმეტეს, რომ ხაჯიმბას ულტიმატუმი წაუყენეს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვინ დააზიანა მესტიაში ისტორიული ძეგლები

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მთავარ პროკურატურას მესტიის მუნიციპალიტეტის უძველეს ისტორიულ ეკლესიებზე თვითნებური მიშენებების, ფრესკების დაზიანებისა და ძეგლების ავთენტურობის დარღვევის ფაქტებზე მიმართა.**

**ადგილობრივი მცხოვრებლების განმარტებით, ეკლესიებზე თვითნებური სამუშაოები სასულიერო პირების ხელმძღვანელობით ჩატარდა.**

სააგენტოს ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა მულახის თემის – ჟაბეშის მაცხოვრის, ლატალის თემის – მაცხოვრის (მაცხვარიში), მთავარანგელოზის (თარინგზელი), იონა წინასწარმეტყველის (იენაში), ლაჰილის წმ. გიორგის, ლახუშდის მაცხოვრისა და ეცერის თემის – ფხუტრერის ტაძრები 16-18 ნოემბერს დაათვალიერეს.

რა დარღვევები გამოვლინდა კულტურის უძრავი ძეგლების მონიტორინგის შედეგად?

სოფელ ჟაბეშში მდებარე მაცხოვრის „მაცხვარ" ეკლესიას საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებით მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ეკლესიას სამხრეთიდან მიდგმული აქვს მინაშენი, ხოლო დასავლეთიდან საფეხუროვანი „სტოა".

მინაშენები ნაგებია ხითა და ბეტონით, შელესილია და გადახურულია თუნუქით. ორივე მინაშენით დარღვეულია ძეგლის ავთენტურობა, დაკარგულია ფასადების აღქმადობა. ადგილობრივების ინფორმაციით, მინაშენები იქაური წარმოშობის უცხოეთში მოღვაწე პირს განუხორციელებია.



ლატალის თემის სოფელ მაცხვარიში მდებარე მაცხოვრის ეკლესია „მაცხვარ", რომელიც წარმოადგენს XI საუკუნის უნიკალურ ძეგლს, მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექციის უფროსის, ლევან ჭავჭავაძის, განცხადებით, შესაბამისი სამსახურის გაფრთხილების მიუხედავად, სამუშაოების მწარმოებლებმა თვითნებურად მიმდინარე სამრეკლოს მშენებლობა მაინც დაასრულეს.

ტაძრის ინტერიერში გამოცვლილია საკურთხევლის და დარბაზის იატაკი – დაგებულია რუხი ფერის ქვის ფილები.

ინტერიერში სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლის ძირები დაახლოებით 30 სმ სიმაღლეზე შელესილია და დაზიანებულია მხატვრობა. გამოცვლილია კანკელი – გაკეთებულია თეთრი ფერის ქვის თაღოვანი ტიხარი. საკურთხევლის კანკელის პილასტრები (საკურთხეველსა და კანკელს შორის შემკლავება) თითქმის მთელ სიმაღლეზე კაპიტელამდე შელესილ-შეთეთრებულია, რითიც დაზიანებულია XII საუკუნის მხატვრობა, ასევე ტაძრის კედლების გარშემო ჩასხმულია ბეტონის ცოკოლი.

სოფელ მაცხვარიში მდებარე მთავარანგელოზის „თარინგზელის" ეკლესიასაც ძეგლის სტატუსი აქვს.

მის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე მეტრში, გალავნის კედელში ჩადგმულია ორსართულიანი ფანჩატურიანი სამრეკლო, რომელიც არღვევს ტაძრის ფიზიკური დაცვის არეალს.

ლატალის თემის სოფელ იენაში მდებარე იოანე წინასწარმეტყველის „იან" ეკლესია XI საუკუნის ძეგლია.

ტაძრის სამხრეთით, გალავნის კედელში ჩადგმულია ბეტონის ხიმინჯებზე მდგარი სამრეკლო. გალავნის გადაღმა კი, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში, აშენებულია დიდი ზომის შენობა, სავარაუდოდ, კელიებისთვის.

ეკლესიაში შესვლა ვერ მოხერხდა, ვინაიდან დაკეტილი იყო.

ლატალის თემის სოფელ ლაჰილის სამხრეთით მდებარე წმიდა გიორგის განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის მიწატკეპნილ იატაკზე გადაგებულია მოყვითალო ფერის ქვის ფილები და ასეთივე ფილებით კედლის ძირში შემოვლებულია საფეხური.

ამავე ფილით არის დაფარული ამბიონიც.

სპეციალისტების განცხადებით, ტაძარი საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს. კერძოდ, გარღვეულია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ზედა ნაწილი და აღმოსავლეთ კედლის ჩრდილოეთი ნაწილი. გასაკეთებელია სარინებელი, რომელიც ამჟამადაც აქვს ტაძარს, მაგრამ ცუდად გაკეთების გამო ფუნქციას ვერ ასრულებს.

ლატალის თემის ლახუშდის, სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე მდებარე მაცხოვრის „მაცხვარ" ეკლესია სრულიად გადაკეთებული და ავთენტურობადაკარგულია.

სრულიად შელესილია და შეღებილია კედლების შიდა და გარე პირი, რის შედეგადაც მთლიანად წაიშალა ტაძრის კამარასა და კედლებზე მოცემული ჯვრების და ხელის გამოსახულებები. ინტერიერში დაიდგა კანკელი და ტრაპეზი. მიწატკეპნილ იატაკზე გადაეგო მოყვითალო ქვის ფილაქანი. ჩამოიხსნა დასავლეთისა და სამხრეთის ხის კარები და დასავლეთის კედელში მის მაგივრად ჩაიდგა რკინის კარი.



სამხრეთის კედელში შესასვლელი კარი სრულებით გაუქმდა და ამოშენდა.

ლევან ჭავჭავაძის განცხადებით, ამ უკანასკნელი ფაქტით არა მხოლოდ ძეგლმა დაკარგა ავთენტურობა, არამედ დაირღვა ეთნოგრაფიული რიტუალიც.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ტაძართან სრულდებოდა ლაფაანალის რიტუალი.

ეცერის თემის ფხუტრერის მთავარანგელოზების „თარინგზელ" ეკლესიაში თითქმის მთლიანად, თვითნებურად და არაავთენტურად არის აღდგენილი ეკლესიის ჩრდილოეთისა და დასავლეთის მინაშენი.

სამხრეთის მინაშენში გაკეთებულია თაღოვანი გადახურვა. ყველგან დუღაბად ცემენტია გამოყენებული.

სამივე მინაშენში დაგებულია მოყვითალო ქვის ფილაქანი, ასევე დასავლეთის კარში შესასვლელი საფეხუროვანი შემაღლება.

ტაძრის სამხრეთ კედელში ჩადგმული უძველესი კარი ხელოვნების ცალკე ნიმუშს წარმოადგენს. ის რკინის გისოსშია ჩასმული და სწორედ ამ გისოსთან იყრის თავს ტაძარში შემავალი ელექტრო გაყვანილობის სადენები. ხანძრის შემთხვევაში კარის გადარჩენა სრულიად შეუძლებელი იქნება.



ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ლატალის თემში ეკლესიებზე თვითნებური სამუშაოები ლატალის მაცხვარიშის წინამძღვრის უშუალო ძალისხმევით მომხდარა. რაც შეეხება ეცერის თემს, ფხუტრერის ეკლესიაში მიმდინარე სამუშაოები ეცერის ფხუტრერის მთავარანგელოზის წინამძღვრის ხელმძღვანელობით ჩატარებულა.

◆ ◆ ◆

– ვინაიდან განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა დაზიანებული კულტურის უძრავი ძეგლები და ადგილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ამიტომ რეაგირებისათვის მივმართეთ მთავარ პროკურატურას, – აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსი ლევან ჭავჭავაძე.

სისხლის სამართლის კოდექსის 2592 მუხლით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება ან განადგურება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განზრახ დაზიანება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურება, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანება ან განადგურება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი გაუფრთხილებლობით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

**მთის ამბები**

# ბიძინა ივანიშვილი სუფსაში 150 წლის ჭადრისა და მაგნოლიების ყიდვას აპირებს?

ბიძინა ივანიშვილი გურიაში ასწლოვანი ხეების ძებნას განაგრძობს.

ყოფილმა პრემიერმა სუფსაში 150 წლის ჭადარსა და მაგნოლიებსაც დაადგა თვალი, თუმცა სოფლიდან მრავალწლოვანი ხეების წაღების სურვილი, შესაძლოა, ფიასკოთი დასრულდეს.

ოზურგეთში გობრონიძეების ოჯახში დაწუნებული ასწლოვანი ბაობაბისა და ჩიბათის (ლანჩხუთი) სკოლაში ასევე ასწლოვანი ჭადრის მონახულების შემდეგ ექსპრემიერს საკუთარი ბაღისთვის ლანჩხუთში, სოფელ სუფსაში, კულტურის სახლის გვერდით მდგარი 150 წლის ჭადრისა და ამავე სოფლის სკოლაში გაშენებული მაგნოლიების შეძენის სურვილი გაუჩნდა.

როგორც „გურიის მოამბეს" სუფსიდან აცნობეს, სკოლის ეზოდან მრავალწლოვანი ხეების წაღების სანაცვლოდ ივანიშვილის გარემოცვამ სუფსაში ახალი სკოლის აშენების პირობაც დადო.

„გურიის მოამბე" ინფორმაციის გადასამოწმებლად სოფლის სკოლის დირექტორ ალეკო სტურუას დაუკავშირდა.

– რა ხე და სკოლა, თქვენ ჟურნალისტი კი არა, ს..რი ხარ, ვიღაცა ხარ, – ამ სიტყვების შემდეგ სტურუამ ტელეფონი გათიშა.

სტურუას პასუხზე ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ჩიტაძემ თქვა, რომ მას აქვს ცოტა განსხვავებული ხასიათი, თუმცა მსგავსი მიმართვებით არ გამოირჩევა.

– ვწუხვარ ძალიან იმის გამო, რაც მოხდა. მე დაველაპარაკები ბატონ ალეკოს. მას აქვს ცოტა განსხვავებული ხასიათი, მაგრამ მიკვირს ასეთი უცენზურო სიტყვები მისგან. პირადად გიხდით ბოდიშს მისი სიტყვების გამო, – გვითხრა ჩიტაძემ.

რაც შეეხება ასწლოვან მაგნოლიებს, რესურსცენტრის ხელმძღვანელის თქმით, სოფელში ამაზე ნამდვილად საუბრობენ, თუმცა, კონკრეტულად ვინმე ამის გამო სკოლაში მისულიყო და გაეცხადებინა, მსგავსი ფაქტი არ მომხდარა.



„გურიის მოამბე" დაუკავშირდა სუფსის მაჟორიტარ დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძესაც, რომელიც გვპასუხობს, რომ მსგავს ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა ეს ყველაფერი არა ერთი პირის, არამედ სოფლის მოსახლეობის გადასაწყვეტია, რომელიც, მისივე თქმით, არა მხოლოდ ასწლოვან, არამედ ისტორიულ ხეებსაც არ დათმობს.

– სუფსის ცენტრში მდებარე 150 წლის ჭადრის ხე ამ სოფლის ისტორიასაც ინახავს. მასთან მეოცე საუკუნის დასაწყისის ბევრი ისტორიული ფაქტია დაკავშირებული, რაც შეეხება სკოლის ეზოს მაგნოლიებს, ეს დარგულია გურიელების დროს. ამ სკოლაში იყო გურიელების საზაფხულო რეზიდენცია და, გამომდინარე აქედან, ეზოსაც და შენობასაც აქვს ისტორიული დანიშნულება.

ასეთი ტიპის ობიექტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელია და მე ინიციატივით მივმართე უკვე საკრებულოს, რომ მას მიენიჭოს ეს სტატუსი. ასე რომ, არა მგონია, სუფსის მოსახლეობამ დათმოს ეს ხეები. მე, როგორც დეპუტატი, მათ გვერდით ვიქნები, – გვითხრა ბლაგიძემ.

**ნიუპოსტი**

# სოფლის არჩევანი სიკვდილია?

## სასაფლაო და დარბაზი ქელეხისთვის – სოფლის პროგრამებით არჩეული პრიორიტეტები

რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მას მერე რამდენი მთავრობა გამოვიცვალეთ, რამდენის იმედი ჰქონდა ხალხს, რამდენს სთხოვდა წყალს, გზას, გაზს, სკოლას, დასაქმებას.

დღეს ხალხი მთავრობას სხვას არაფერს, მხოლოდ დასაფლავებას სთხოვს!

არავითარი სენტიმენტალობა. ამ დასკვნამდე დუშეთის რაიონის სოფლის პროგრამების გაცნობის შედეგად მივედი.




სოფლის დახმარების პროგრამით მთავრობა ხალხს ფულს აძლევს და ეკითხება, თქვენი პრიორიტეტი რა არის, რა გინდა, ამ ფულით გავაკეთოო. ისინიც ირჩევენ, მთელი სოფელი ირჩევს.

2011 წლის სოფლის პროგრამებში ბევრი სოფელი მხოლოდ იმასღა ითხოვდა, ქელეხისთვის შენობა აგვიშენეთ და სასაფლაო შემოგვიღობეთო.

ჩახედავ ამ დოკუმენტს და გაგეცინება, ჩახედავ და დაიზაფრები, ჩახედავ და აღარ იცი, რა ქნა – სოფლის არჩევანი სიკვდილია!

ჩუბინიანთკარი – გამოყოფილია 5.439 ლარი, სოფლის პრიორიტეტი – სარიტუალო ინვენტარის შეძენა;

ქვემო მლეთა – 5.303 ლარი – სარიტუალო დარბაზის მშენებლობისთვის მასალის შეძენა;

ნაგლიანთკარი – სასაფლაოზე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

მუგუდა – სარიტუალო ინვენტარის შესანახად ფარდულის მოწყობა;

ლაფანაანთკარი, მაღრანი, დგნალი, პავლეური, ცივწყარო, დალასქერი, პირმისაანთი, ნადიბაანდი, სალაჯური – სარიტუალო ინვენტარის შეძენა;

მაღაროსკარი, აყნელი, შატილი, ჭილურტი – სარიტუალო დარბაზის მშენებლობა;

ლაზვიანი – სასაფლაოს შემოღობვა;

არანისი – სასაფლაოს შემოღობვა;

ბოდავი – სასაფლაოს შემოღობვა.

**მთის ამბები**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლადო პაპავა: „მთავრობის ლარიზაციის გეგმა კავშირშია ლარის ვარდნასთან“

## „რუსული ალფა-ბანკის შემოსვლა შეცდომა იქნება“



– მთავრობის მიერ გახმოვანებული, მაგრამ შეუთანხმებელი და დაუზუსტებელი დედოლარიზაციის გეგმა უშუალო კავშირშია ლარის კურსის ვარდნასთან.

ამის შესახებ პროფესორმა ლადო პაპავამ განაცხადა.

მისივე თქმით, სწორედ დედოლარიზაციის გეგმის გამოცხადებამ ისე, რომ დოკუმენტი ფიზიკურად არ არსებობდა, გაურკვევლობა შექმნა.

– გაჩნდა ბევრი კითხვა, რომელზედაც პასუხები არ იყო. ასეთ ვითარებაში, რაც უფრო იზრდება გაურკვევლობა, მით უფრო იზრდება უნდობლობა ეროვნული ვალუტის მიმართ. ამან გამოიწვია გარკვეული პანიკური ქმედება, – განაცხადა პროფესორმა პაპავამ.

მისი აზრით, უნდა შეწყდეს არარსებული დოკუმენტების პრეზენტაცია.

– ეს მავნე პრაქტიკა 2004 წლიდან ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ დაამკვიდრა და, სამწუხაროდ, მას დღეს ქართული ოცნების ხელისუფლება აგრძელებს. ამ პროცესის დაწყება აწგანსვენებულ ზურაბ ჟვანიას უკავშირდება, როცა მან მოახდინა არარსებული საგადასახადო კოდექსის პროექტის პრეზენტაცია: არსებობდა საპრეზენტაციო მასალა და არ არსებობდა საგადასახადო კოდექსი. მას შემდეგ ამგვარ პრაქტიკას ნაციონალები იყენებდნენ, ახლა კი დღევანდელი მთავრობა აგრძელებს, – აღნიშნა ლადო პაპავამ.

ასეთ ვითარებაში გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ბანკებისთვის, შესაძლოა, იძულებით დაევალებინათ ლარიზაციის პროგრამის განხორციელება, რაც ბანკებს კიდევ უფრო ძვირი დაუჯდებოდათ.

– მათ კი, თავის მხრივ, დაიწყეს თავდაცვითი ღონისძიებების გატარება. როცა სავალუტო ბაზარზე არის დაბნეულობა, ლარის კურსი ყოველთვის ეცემა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ მთავრობის ამგვარი განცხადებები უნდა იყოს მოზომილი და, რაც მთავარია, შეთანხმებული, – განაცხადა პაპავამ.

ის რუსული ალფა-ბანკის საქართველოში შესაძლო შემოსვლასაც შეეხო.

– ასეთ შემთხვევაში გაიწირება აზერბაიჯანული ბიზნესი რუსულის სასარგებლოდ. თუ მართლაც ასე მოხდა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა, – აღნიშნა ლადო პაპავამ.

მისი თქმით, ალფა-ბანკი არის ერთ-ერთი უძლიერესი ბანკი და ცნობილი რუსული პროექტის, „ლიბერალური იმპერიის“, განხორციელების ინსტრუმენტია რუსეთის ხელისუფლების ხელში.

– ელექტრონულ მედიაში გავრცელდა, რომ ალფა-ბანკმა საქართველოში უნდა შეიძინოს ის შენობა, რომელიც დღეს კავკასიის განვითარების ბანკს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი აზერბაიჯანული კომპანიაა. თურმე აზერბაიჯანული ბიზნესი უნდა ჩაანაცვლოს რუსულმა ბიზნესმა, – განაცხადა პროფესორმა პაპავამ.

მან მიუთითა, რომ აზერბაიჯანულ წრეებში უკვე ძალიან დიდი შეშფოთებაა.

– აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. რუსული ალფა-ბანკის საქართველოში შემოსვლით გაიწირება აზერბაიჯანული ბიზნესი რუსულის სასარგებლოდ. საქმე შეიძლება საერთაშორისო სკანდალამდეც მივიდეს. მართალია, გუშინ წავიკითხე ბატონი კობა გვენეტაძის განცხადება, რომ მისთვის თურმე ჯერჯერობით ალფა-ბანკს არ მიუმართავს, მაგრამ მე სიტყვა „ჯერჯერობით“ ნამდვილად არ მომეწონა, – განაცხადა პაპავამ.

პროფესორი ფიქრობს, რომ კობა გვენეტაძე ფრთხილად მოეკიდება აზერბაიჯანულ ბიზნესს, გაითვალისწინებს იმას, რომ აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და არ შეუწყობს ხელს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების გაფუჭებას.

– ამიტომ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომ არ დააზარალოს ჩვენი სტრატეგიული აზერბაიჯანელი პარტნიორები, მით უფრო, რუსეთის სასარგებლოდ, – აღნიშნა ლადო პაპავამ.

**ბიპიენი**

# ლევან კალანდაძე: „მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა ბანკებისთვის ელდა არ ყოფილა“



ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ ლევან კალანდაძის განცხადებით, მთავრობის ათპუნქტიანი გეგმა ბანკებისთვის სიახლე არ ყოფილა და ისინი ამ თემაზე დიდი ხანია საუბრობენ.

– თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა იყო სიახლე და ბანკებისთვის ეს იყო ელდა, ამიტომ მათი ქცევა სავალუტო ბაზარზე შეიცვალა, შემიძლია პირდაპირ უარვყო, იმიტომ, რომ ბანკებთან ძირითადი ლარიზაციის თემები იყო გავლილი, დატესტილი, მთავრობა დიდი ხანი საუბრობდა ამ თემებზე და ბანკებისთვის სიახლეს ეს არ წარმოადგენდა, – განაცხადა ექსპერტმა.

ის ამბობს, რომ ხელს არ იშვერს და თვლის, რომ არც უნდა გაიშვიროს, მაგრამ ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ.

– ბანკებმა მშვენივრად იცოდნენ, რას გეგმავდა 2017 წლის პირველი იანვრიდან მთავრობა, – აღნიშნა ლევან კალანდაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.

მისივე თქმით, სესხი ნიშნავს ვალდებულებებს და როცა მას იღებ, უნდა იცოდე, რომ ეს ვალდებულებები უნდა შეასრულო.

– გარკვეული პერიოდი პრობლემები იყო ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის სესხების გაცემასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ რიგ შემთხვევაში იკვეთებოდა რეალობა, როცა მართლა საჭირო იყო მომხმარებელს მოეხდინა რისკების ჰეჯირება, თუმცა, იმის გამო, რომ გარკვეული რეგულაციები და შეზღუდვები ქვეყანაში აქამდე არ არსებობდა, ბანკების მიერ შეთავაზება იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით ძირითადად დოლარში ხდებოდა და ადამიანები იძულებულნი იყვნენ, შემოსავლის ლარში არსებობის შემთხვევაშიც სესხი დოლარში აეღოთ.

სესხი ნიშნავს ვალდებულებებს და როცა მას იღებ, უნდა იცოდე რომ ეს ვალდებულებები უნდა შეასრულო. თავად სახელმწიფო არის პასუხისმგებელი, რომ ადამიანებისთვის ჰეჯირების სისტემის ჩამოყალიბება მოახდინოს, თითოეული ჩვენგანი ვერ მოახდენს ამ რისკის ჰეჯირებას, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

**კომერსანტ.გე**

# არჩილ მესტვირიშვილი: „ლარის კურსის პროგნოზირება შეუძლებელია“



– მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ლარის კურსის პროგნოზირება შეუძლებელია. ამას არ აკეთებს არცერთი ცენტრალური ბანკი.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ პროცესში ბანკების დადანაშაულების საფუძველი არ არსებობს. მესტვირიშვილმა აქვე ახსნა, თუ რასთანაა დაკავშირებული ლარის გაუფასურება.

– ბაზარზე ასეთი ქცევა ხდება ხოლმე, რასაც ჩვენ ოვერშუთინგს ვეძახით. ამის გარკვეული ეკონომიკური მოდელებიც არსებობს, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში ხდება კურსის გაუფასურება სწრაფად. შემდეგ ჩნდება მოლოდინი, რომ კიდევ უფრო გაუფასურდება.

ეს მოკლევადიანი მოლოდინია. ამის შემდეგ გამყიდველები აჩერებენ დოლარის მიწოდებას, მყიდველები კი ცდილობენ, აჟიოტაჟურად შეიძინონ დოლარი. კურსი გარკვეულ დონეზე ადის, პიკს აღწევს. უკვე იმ დონეზე, როდესაც გამყიდველები თვლიან, რომ აღარ გაუფასურდება, მერე ხდება აჟიოტაჟური მიწოდება და კურსი უბრუნდება თავის პირვანდელ ტრენდს, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

ვინაიდან ბანკები არიან ბაზრის ყველაზე დიდი მონაწილეები, როდესაც რაღაც უარყოფითი ხდება, ბანკებს ადანაშაულებენ ამაში.

– თუმცა, ამის საფუძველი არ არსებობს, – აღნიშნა არჩილ მესტვირიშვილმა.

**კომერსანტ.გე**

# 2017 წლის 1 იანვრიდან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ზრდა იგეგმება



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გაზრდა 2017 წლის პირველი იანვრიდან იგეგმება.

ამას ითვალისწინებს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომლის ავტორი ფინანსთა სამინისტროა, ხოლო ინიციატორი – საქართველოს მთავრობა.

კანონპროექტის მიღების მიზანია სათამაშო ბიზნესის სფეროში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების ოდენობის ოპტიმიზაცია და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა.

კანონპროექტის მიხედვით, იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, თითოეულ სამორინეს მაგიდაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა განსაზღვრულია კვარტალში 15.000-დან 30.000 ლარის ჩათვლით. კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება 20.000-დან 40.000 ლარის ჩათვლით.

თითოეულ სათამაშო აპარატზე მოსაკრებლის განაკვეთი მოქმედი განსაზღვრულია 1.500-დან 3.000 ლარის ჩათვლით. ცვლილების შესაბამისად, განისაზღვრება კვარტალში 2.000-დან 4.000 ლარის ჩათვლით.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე მოსაკრებლის განაკვეთი, დღეის მდგომარეობით, არის 30.000 ლარიდან 60.000 ლარის ჩათვლით. კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება კვარტალში 100.000-დან 120.000 ლარის ჩათვლით.

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის განაკვეთია კვარტალში 1.000 ლარიდან 15.000 ლარის ჩათვლით. კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება 1.500-დან 20.000 ლარის ჩათვლით.

თითოეულ კლუბის მაგიდაზე მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში არის 3.000 ლარიდან 10.000 ლარის ჩათვლით. კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება 4.000-დან 14.000 ლარის ჩათვლით.

**ბიპიენი**

# 2017 წლიდან ავტომობილებზე ქონების გადასახადი დაწესდება

მთავრობის მიერ დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, 2017 წლიდან ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა სავალდებულო ხდება.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსის 201-ე, 202-ე და 205-ე მუხლებში შევა და 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს შეეხება.

ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი სხვადასხვა დროს გამოშვებულ ავტომობილებზე განსხვავებული იქნება.

კერძოდ, ფიზიკური პირი, რომლის ოჯახის წლიური შემოსავალი 40.000 ლარზე მეტია, ვალდებული ხდება, გადაიხადოს ქონების გადასახადი მის საკუთრებაში მყოფ მსუბუქ ავტომობილზე. ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია ავტომობილის ასაკის მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

1 წლამდე ავტომობილზე – 500 ლარი
1 წლიდან 5 წლამდე – 240
5 წლიდან 10 წლამდე – 120
10 წლის ზევით – 60

# მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი სამჯერ იზრდება

მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი იზრდება.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე მოცემულია კონკრეტული სქემა, თუ რამდენით გაიზრდება აქციზი სხვადასხვა წელს გამოშვებულ ავტომობილებზე.

2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მარჯვენასაჭიან მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთი სტანდარტული განაკვეთის სამმაგი ოდენობით განისაზღვრება.

საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება მე-100 ნაწილი, რომლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში მსუბუქი ავტომობილები დაიბეგრება აქციზის განაკვეთების ცვლილებამდე არსებული განაკვეთით, თუ შეძენილი ავტომობილის ტრანსპორტირება დაწყებულია არაუგვიანეს 2016 წლის 1 დეკემბრისა.

**ბიპიენი**

# მოიმატა თუ არა ფქვილის ფასმა და როგორია სამომავლო პროგნოზი

ბოლო დღეების განმავლობაში ლარის გაუფასურების ტენდენციამ საზოგადოებაში ერთგვარი პანიკა შექმნა.

ოლნიუს.გე დაინტერესდა, როგორია ფქვილისა და პურის ფასი ამ ეტაპზე და რა გავლენას იქონიებს დოლარის კურსის სწრაფი გამყარება მის ფასზე.

მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავას თქმით, სექტემბერ-ოქტომბერთან შედარებით, ერთი ტომარა ფქვილის ფასმა მოიმატა.

– სამწუხაროდ, დოლარი სერიოზულად გაძვირდა, ასევე გაძვირდა ფრახტიც და ეს ფასზე იმოქმედებს, თუმცა მეპურეებს ჯერჯერობით კრიტიკული ფასი 45 ლარი აქვთ. დღეს და გუშინ ერთი ტომარა ფქვილის მინიმალური ფასი 34 ლარია. მაგალითად, მარნეულის წისქვილკომბინატში ერთი ტომარა ღირს 33,5 ლარი, ჯეომილში – 34 ლარი, წისქვილკომბინატ თბილისში – 35 ლარი, – განაცხადა ლევან სილაგავამ.



მისივე თქმით, ფქვილზე ფასის მატება მოსალოდნელია, თუმცა არა – სერიოზული.

– ერთი ტომარა ფქვილის ფასი 34 ლარზე დაბლა არ დაიწევს, მაგრამ ზრდა მოსალოდნელია, თუმცა ეს იქნება არა მყისიერად, არამედ მდორედ, თან ახლა, უახლოესი დღეების განმავლობაში პურის ქარხნები ახალი წლის მარაგს ივსებენ და ამ დროისთვის არსებულ ფასში იღებენ ფქვილს, რომელიც ნამდვილად არ იქნება კატასტროფული, – აღნიშნა ლევან სილაგავამ.

ოქტომბერში 1 ტონა ფქვილი 185 დოლარი ღირდა, ნოემბერში კი – 200 დოლარი, 15 დოლარით მოიმატა.

– ახლა ველოდებით ახალ მონაცემებს, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ მომატებული იქნება. ფქვილის ფასი თავისთავად აიწევს, ალბათ, 1-2 ლარით, – განაცხადა სილაგავამ.

მოსალოდნელია თუ არა პურზე ფასის ზრდა?

ამ კითხვით პურ-პროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელ მალხაზ დოლიძეს მივმართეთ.

– ჩვენ პურის ისეთი ფასი გვიჭირავს, რომელიც არც დაკლებას ითვალისწინებს, არც – მომატებას, ამიტომ ჯერ არ მოიმატებს. პური უნდა ღირდეს იმდენი, რამდენიც თვითღირებულებით ღირს და პურზე სპეკულირება არ შეიძლება. თუ ენერგომატარებლებზე ტარიფები შეიცვლება, ეს პურის ფასზეც აისახება, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

**თეა ბეჟიტაშვილი, ოლნიუსი**

# ამირან გიგუაშვილი: „თუ ლარმა გაუფასურება განაგრძო, ქვეყანაში სოციალური აფეთქება გარდაუვალია“

ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე, ასევე, მოსალოდნელ საფრთხეებზე რადიო „კომერსანტი“ პოლიტიკისა და სამართლის ცენტრის თავმჯდომარეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ **ამირან გიგუაშვილს** ესაუბრა.

***— ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების, მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, სად გადის ის ვირტუალური ზღვარი, რომლის მიღმაც ქვეყანაში, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისი შეიქმნას და უმართავი პროცესები დაიწყოს, ან საერთოდ რამდენად ხედავთ ასეთი პროცესების განვითარების რისკებს?***

— პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური გარემო, რომელიც დღეს ქვეყანაშია. ხელისუფლებას აქვს, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო მეორე მხრივ ეს პირდაპირპროპორციულად სულაც არ ნიშნავს მოსახლეობის ასეთი მაღალი ნდობის ხარისხს.

გავიხსენოთ, როგორ წარიმართა არჩევნები და რა შედეგებამდე მივედით. ეს იყო ორპოლუსიანი საარჩევნო მარათონი, რომელიც მთლიანად აგებული იყო ნეგატივზე. ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“ არა იმიტომ, რომ მოიწონა მისი ეკონომიკური პროგრამა ან უკვე განხორციელებული რეფორმები. არამედ იმიტომ, რომ ჩათვალა, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ზოგს ეშინოდა ნაციონალური მოძრაობის, ზოგს კი ის სძულდა.

დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს არც სათანადო ფულადი რესურსი აღმოაჩნდათ და არც ისეთი პლატფორმა, რომელიც ამ ორპოლუსიან გარემოში არსებით კორექტივებს შეიტანდა. შესაბამისად, მივიღეთ რეალობა, რომელიც თავისთავად არის მგრძნობიარე ყოველგვარი კრიზისების მიმართ.

ხელისუფლება თავად აღმოჩნდა დენთის კასრზე და საკმარისია მცირე ნაპერწკალიც კი, რომ ამ კასრმა იფეთქოს, ვინაიდან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით აღშფოთებული მოსახლეობისთვის არ არსებობს სამართლებრივი სივრცე ან პოლიტიკური ძალა, რომლის მეშვეობითაც დაგროვილი უარყოფითი ენერგიისგან გამოთავისუფლებას შეძლებს.


ამირან გიგუაშვილი

***— ანუ გამოდის, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით ხელისუფლებამ თავად შექმნა პოლიტიკური კრიზის განვითარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს ვერ უპასუხებს.***

— რა თქმა უნდა. ძალაუფლების ასეთი შეუზღუდავი ბერკეტები თავისთავად არის რისკების შემცველი. მთავრობა საკუთარ წარუმატებლობას ვეღარ დააბრალებს ვერც ნაციონალურ მოძრაობას და ვერც მის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასა თუ სხვა ინსტიტუციებში ჩანერგილ აგენტებს.

გვახსოვს ყველას, როგორ ბრალდებოდა ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს, რომ ის იყო ნაციონალების აგენტი, მიშას კაცი და სხვა ათასი ჰიპოთეზა. რეალური პრობლემები კი გაცილებით ღრმაა და უკავშირდება როგორც საგარეო ფაქტორებს, რაც ნამდვილად მოქმედებს ჩვენისთანა მცირე ეკონომიკაზე, ისე ქვეყნის შიგნით არსებულ არაეფექტურ მართვას, გაბერილ ბიუროკრატიას, გაუმჭვირვალე ტენდერებს და, რაც მთავარია, იმის განცდას, რომ მთავრობამ არ იცის, როგორ გაუმკლავდეს შიდა და საგარეო ეკონომიკურ გამოწვევებს.

***— რა პერსპექტივა აქვს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ეკონომიკური ზრდის პროგრამას, რამდენად ეფექტური იქნება ეს პროგრამა, განსაკუთრებით, სესხების გალარებისა და ონლაინსესხების რეგულირების თვალსაზრისით?***

— ჩვენ გვჭირდება ბევრი ფული და, რაც მთავარია, ადვილად ხელმისაწვდომი ფული. ეს არის ძალიან მარტივი ჭეშმარიტება. ხელისუფლებამ კი არ უნდა აკრძალოს ონლაინსესხები, არამედ გონივრული რეგულაციები დააწესოს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. თუ ადამიანებს არ ექნებათ ადვილად ხელმისაწვდომი ფული, ისინი ამ ფულს მაინც იშოვიან, ოღონდ უკვე არა ონლაინსესხების სახით, არამედ კერძო მევახშეებისგან, რომლებიც გაცილებით არაცივილიზებულად მოექცევიან მსესხებლებს.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას, აქაც სადავოა, რატომ უნდა გადაიხადოს ბიუჯეტმა კურსთა შორის სხვაობა. მარტივად რომ ვთქვათ, რატომ უნდა აჩუქოთ თქვენ ვიღაცას ფული და დაეხმაროთ მას სესხის დაფარვაში? მესმის, რომ ეს მნიშვნელოვანია დოლარის წნეხის ქვეშ მოქცეული მსესხებლებისთვის, მაგრამ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო სულაც არ არის. სასწორის მეორე მხარეს არიან გადასახადის ის გადამხდელები, რომლებსაც სულაც არ სურთ და, რაც მთავარია, არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ მოქალაქეობრივი სოლიდარობის ფარგლებში სხვებს დაეხმარონ.

ამიტომაც, არ ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა, რაც მოცემულ ვითარებაში მთავრობას უნდა მიეღო. სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა ფუნდამენტური სამართლებრივი რეფორმების გატარება მართლმსაჯულების სისტემაში, რომ ბიზნესმენებმა წლების მანძილზე არ იარონ სასამართლოში, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, ათასი უსარგებლო, პარტიული აქტივისტებით დაკომპლექტებული საბიუჯეტო ორგანიზაციების გაუქმება.

საჭიროა სოციალური პროგრამების, მათ შორის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის პროგრამების ოპტიმიზაცია, გაუმჭვირვალე ტენდერების აღკვეთა და, რაც მთავარია, მეტი ეკონომიკური ლიბერალიზაცია.

ფორმულა მარტივია — ნაკლები ხელისუფლება ბიზნესში ნიშნავს მეტ ფულს ეკონომიკაში. მხოლოდ ასე შეიძლება ჩვენი განვითარება. სხვაგვარად ლარის გაუფასურება, შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმის პირობებში, აუცილებლად გამოიწვევს სოციალურ აფეთქებას, რასაც ჩვენი ქვეყანა ნამდვილად ვეღარ გადაიტანს.

**კომერსანტ.გე**

## ჩაქაფული, ხაში და ჩაშუშული მზა საკვების სახით გაიყიდება



კომპანია „კულა“ მომავალი წლიდან ბაზარზე ახალი პროდუქციის – გაყინული ჩაქაფულის, ხაშისა და ჩაშუშულის გამოშვებას გეგმავს.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს ქართული კომპანია „კულას“ დამფუძნებელმა ვანო გოგლიძემ უთხრა.

მისი თქმით, პროდუქცია, სავარაუდოდ, უკვე 2017 წლის იანვრიდან შევა ქსელში.

ჩაქაფულის გარდა, ახალი წლიდან „კულა“ კიდევ რამდენიმე ახალ პროდუქტს გამოუშვებს.

ესენია ხაში, ჩაშუშული, ტოლმა, თევზის კონსერვი.

— პროდუქტი მზა საკვების სახით იქნება და მხოლოდ გაცხელება დასჭირდება. რაც შეეხება რაოდენობას, პროდუქციას მოთხოვნის მიხედვით გამოვუშვებთ, — ამბობს გოგლიძე.

პროდუქცია საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა დიდ სავაჭრო ქსელში გაიყიდება.

გორის საკონსერვო ქარხანა „კულა“, რომელიც 2009 წელს დაარსდა, ხილისა და ბოსტნეულის წვენებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მურაბები, ჯემები, ტყემლები, საწებლები და ა.შ.) აწარმოებს.

**ბიპიენი**

## საქართველოში ნაყინის რუსული კომპანია შემოდის



ქართულ ბაზარზე ნაყინის რუსული კომპანია გელატერია პლომბირი შემოდის.

სანკტ-პეტერბურგში მოქმედი კაფე-სანაყინეების ქსელის პირველი კაფე-ფრანჩიზა თბილისში მიმდინარე თვის ბოლოს გაიხსნება.

ბრენდის მფლობელ ევგენი დრაის ინფორმაციით, მოლაპარაკებები ფრანჩიზასთან დაკავშირებით მარტივი იყო საქართველოში ბაზარზე შესვლის დაბალი ღირებულების გამო. მისი თქმით, საქართველოში ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამო ერთჯერადი შენატანი რუბლში მიმზიდველი ხდება.

გარდა ამისა, ბიზნესმენის ცნობით, ქართულ ბაზარზე არ არის პოტენციურ შემოსავალზე ერთიანი გადასახადი, ხოლო მოგების გადასახადი 15%-ია.

შესაბამისად, ევგენი დრაის შეფასებით, საქართველოში ფრანჩინზის გახსნა ინდივიდუალური მეწარმისთვის საკმაოდ მომგებიანია.

გელატერია პლომბირს რუსეთში 70-ზე მეტი ფრანჩიზა აქვს და ფლობს 20 საკუთარ სავაჭრო ობიექტს პეტერბურგში. ქსელი 10 კაფეს ფლობს ყაზახეთში, ხოლო მომავალში გეგმავს კაფეების გახსნას ყირგიზეთსა და მოლდოვაში, სადაც ამ მიზნით მოლაპარაკებები უკვე იმართება.

ევგენი დრაის თქმით, კომპანია ფსონს დებს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთში მდებარე სახელმწიფოებზე, სადაც ნაყინზე მოთხოვნა უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში.

## ზურაბ ჟვანიას საქმის ექსპერტი ლევან ჩაჩუა უზენაესმა სასამართლომაც გაამართლა

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის ექსპერტ ლევან ჩაჩუას შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.

შესაბამისად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმის ექსპერტი, რომელსაც გამოძიება სამსახურებრივ გულგრილობასა და რაულ უსუპოვისა და ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით არასწორი დასკვნის გამოტანას ედავებოდა, სამივე ინსტანციის სასამართლომ გაამართლა.



ინფორმაცია ამის შესახებ ლევან ჩაჩუას ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ სოცქსელებში გაავრცელა.

მან განაცხადა, რომ უზენაესმა სასამართლომ პროკურატურის საჩივარი წარმოებაში არ მიიღო, რითაც ძალაში დატოვა გამამართლებელი განაჩენი.

**ნიუპოსტი**

## „ქართული ოცნების“ ოფისთან მეანაბრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს



გუშინ, 4 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ ოფისთან საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მეანაბრეებსა და პოლიციას შორის ინციდენტი მოხდა.

საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მეანაბრეები „ქართული ოცნების“ ოფისთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრას ითხოვდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ აქციის რამდენიმე მონაწილეს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი შეხვდა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, 3 ათასამდე ადამიანია დაზარალებული და ისინი ხელისუფლებას სთხოვენ დახმარებას, ასევე, ითხოვენ გამოიძიონ, სად წავიდა მათი თანხები.

მოანაბრეებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხებში გაერკვევა.

მისივე თქმით, ამ ხალხს ეროვნული ბანკი უნდა ხვდებოდეს.

— მაქსიმალურად შევუწყობ ამ ადამიანებს ხელს, ჰქონდეთ სწორი კომუნიკაცია. ამ ხალხს დავეხმარები იმ ორგანომდე მისვლაში, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. თვითონ ჩამოყალიბდებიან ეს ადამიანები, თუ რა გზას აირჩევენ, ეს იქნება სასამართლო თუ სხვა გზა.

მე ვფიქრობ, რომ იმან, ვინც ამ სფეროს აკონტროლებს, უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავზე. ეს ეხება ამ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს, რომელმაც ამ ხალხს ნორმალური პასუხი უნდა გასცეს, — განაცხადა დეპუტატმა გოგიჩაიშვილმა.

თავად მეანაბრეების თქმით, მათ გოგიჩაიშვილისგან მიიღეს დაპირება, რომ მათ პრობლემებს მიიტანს ხელისუფლებაში და ეროვნულ ბანკთან. რაც შეეხება სამომავლოდ აქციების გაგრძელებას, მეანაბრეების თქმით, ამაზე გადაწყვეტილებას საინიციატივო ჯგუფი იღებს.

ლევან გოგიჩაიშვილთან შეხვედრის შემდეგ „ქართული ოცნების“ ოფისთან მეანაბრეების საპროტესტო აქცია დასრულდა.

## თავდაცვის სამინისტროსთან მტკვარში მანქანა გადავარდა

თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, თავდაცვის სამინისტროსთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს ბმვ-სა და მიცუბიშის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.



დარტყმის შედეგად მიცუბიშიმ დამცავი ბეტონის ჯებირი გაარღვია და მტკვარში გადავარდა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის მაშველებმა მანქანა მდინარიდან მალევე ამოიყვანეს.

მანქანაში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი და თავს კარგად გრძნობს.

## ადიგენში ავტოავარიას 9 წლის გოგონა ემსხვერპლა

მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურში.




წინასწარი ინფორმაციით, ადგილობრივი მცხოვრების, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცის ავტომანქანა სახლში ფეხით მიმავალ და-ძმას დაეჯახა.

9 წლის გოგონა ადგილზე დაიღუპა. ბიჭი არ არის დაშავებული.

დამნაშავე მძღოლი დაკავებულია. შსს-ს ინფორმაციით, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლით არის აღძრული, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ბაქოში ტერორიზმში ეჭვმიტანილი მოკლეს



ბაქოში აზერბაიჯანის კონტრდაზვერვამ ტერორიზმში ეჭვმიტანილ აზიათ-ოგლუს დაკავება ცადა.

ის 1987 წელს დაიბადა, დაკავშირებული იყო აზერბაიჯანში მოქმედ ერთ-ერთ იატაკქვეშა ორგანიზაციასთან, რომელსაც კონტაქტები ჰქონდა ისლამურ სახელმწიფოსთან.

აზიათ-ოღლუმ დაპატიმრებისას წინააღმდეგობის გაწევა დააპირა და ცადა, შახიდის ქამარი მოქმედებაში მოეყვანა. ამ დროს მოკლეს კიდეც.

## კალიფორნიაში ხანძრის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა

კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში ძველი საწყობის შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა.

ხელისუფლებამ 9 ადამიანის სიკვდილი უკვე დაადასტურა, თუმცა ქალაქის ადმინისტრაციაში შიშობენ, რომ მსხვერპლი, შესაძლოა, 40-მდე გაიზარდოს.

ხანძარი ადგილობრივი დროით 23:30 საათზე გაჩნდა. ყოფილი საწყობი ღამის კლუბად იყო გადაკეთებული და შემთხვევის დროს ელექტრონულ ჯგუფ გოლდენ დონას მასპინძლობდა.

შენობას არ ჰქონდა გამართული სახანძრო სისტემა, ამიტომ ცეცხლის გაჩენისას არც სიგნალიზაცია ჩართულა.

## მახაჩყალაში ლიკვიდირებულია ტერორისტების მეთაური



რუსულმა ფსბ-მ მახაჩყალაში ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა. შედეგად ლიკვიდირებულია ორგანიზაცია კავკასიის ვალაიეთის მეთაური აბუ მუგამედი.

კავკასიის ვალაიეთი წარმოადგენს ისლამური სახელმწიფოს ფილიალს.

აბუ მუჰამედის სახელი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტერორისტისა, რუსეთის უშიშროების სამსახურის სიაში არაერთგზის ფიგურირებდა.

## საფრანგეთში ტერაქტის ორგანიზების მცდელობაში ეჭვმიტანილი მაროკოში დააკავეს

მაროკოს სპეცდანიშნულების სამსახურმა საფრანგეთში ტერაქტის ორგანიზების მცდელობაში ეჭვმიტანილი დააკავა.

იგი ისლამური სახელმწიფოს წევრია.

სპეცდანიშნულების სამსახურის თანამშრომლების განმარტებით, ბრალდებული დაეშის აგენტებს სირია-თურქეთის საზღვარზე ხვდებოდა, მათგან მითითებებს იღებდა, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა წევრებისთვის უნდა გადაეცა.

საფრანგეთის პოლიციაში განაცხადეს, რომ ექსტრემისტების ეს დაჯგუფება დაკავებათა რამდენიმე სერიის შემდეგ გააუვნებელყვეს. დაკავებულ ისლამისტთა შორის საფრანგეთის, მაროკოსა და ავღანეთის მოქალაქეები იყვნენ.

გასულ კვირას გამოქვეყნდა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ევროპაში ისლამური სახელმწიფოს თავდასხმების რისკი იმატებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კიევთან ძალოვნებმა ერთმანეთი დახოცეს



უკრაინაში, კიევთან ახლოს, გაუგებრობისა და ურთიერთშეუთანხმებლობის გამო ორი სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს შორის ატეხილ სროლას 5 ადამიანი ემსხვერპლა.

ადგილობრივი სისხლის სამართლის დანაშაულის საგამოძიებო სამსახურში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ კიევთან ახლოს, ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, სახლის ძარცვა უნდა მომხდარიყო.

სამსახურის წარმომადგენლები, 2 პოლიციელთან ერთად, სახლთან ახლოს ჩასაფრდნენ.

ამ დროს ამავე დასახლების ერთ-ერთ სახლში სიგნალიზაცია ჩაირთო და ვითარებაში გასარკვევად აღნიშნულ მისამართზე უკრაინის დაცვის სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები გაემართნენ.

ჩასაფრებულ სამართალდამცავებს დაცვის სამსახურის წარმომადგენლები მძარცველები ეგონათ და სროლა ატეხეს.

შედეგად დაიღუპა 2 პოლიციელი, დაცვის სამსახურის 2 უფროსი და 1 სპეცრაზმელი.

ნამდვილმა დამნაშავეებმა სროლის ხმა გაიგეს და მიმალვა ცადეს, თუმცა ისინი მალევე დააკავეს.

მომხდარ ფაქტს კიევის პროკურატურა იძიებს.

**ნიუპოსტი**

## პენტაგონს რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა აეკრძალა



აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა პენტაგონისთვის 3,42 მილიარდი დოლარის გამოყოფას. ამას გარდა, მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც პენტაგონს რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას უკრძალავს მანამ, სანამ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას არ შეწყვეტს. საუბარია როგორც დონბასში მშვიდობის აღდგენაზე, ასევე ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებაზე.

პარალელურად, მიღებულ იქნა დადგენილება უკრაინასთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების შესახებ.

კერძოდ, კონგრესმა მხარი დაუჭირა დადგენილებას, რომლის ძალითაც გამოიყო თანხა უკრაინის სასაზღვრო სტრუქტურების გასაძლიერებლად.

## ტრამპმა ფილიპინების პრეზიდენტი ამერიკაში დაპატიჟა



ფილიპინების პრეზიდენტმა დუტერტემ განაცხადა, რომ ტელეფონით აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაუკავშირდა.

ფილიპინების ლიდერმა თქვა, რომ საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და ტრამპმა ნარკომაფიასთან ბრძოლაში სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

– ბედნიერი ვარ, რომ ბატონმა ტრამპმა ამერიკაში დამპატიჟა! ვიმედოვნებ, აშშ-სთან ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, – ამბობს დუტერტე.

## ქერი ლავროვს შეხვდა



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავის ამერიკელ კოლეგა ქერის შეხვდა. საუბარი სირიაში, კერძოდ, ალეპოში შექმნილ მდგომარეობას შეეხო.

– ალეპოში კატასტროფული ჰუმანიტარული სიტუაციაა! ასე გაგრძელება შეუძლებელია, – თქვა ქერიმ.

სერგეი ლავროვმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ სირიაში კომპრომისი გარდაუვალია.

– სირიის მთავრობა, კერძოდ, პრეზიდენტი ასადი, საამისოდ მზად არიან, – თქვა ლავროვმა.

სირიის არმია კი ალეპოში წინსვლას განაგრძობს. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ასადის არმიამ რუსების მხარდაჭერით ალეპოს კიდევ რამდენიმე კვარტალი დაიკავა.

## პოლონეთი–უკრაინა: სამხედრო თანამშრომლობა ფართოვდება



უკრაინის თავდაცვის მინისტრი პოლტორაკი თავის პოლონელ კოლეგა მაცერევიჩს შეხვდა.

უკანასკნელ მომენტამდე ამ შეხვედრის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. პოლონურ პრესაში გახშირდა აღვირახსნილი ანტიუკრაინული გამოხდომები, ყურადღების ცენტრში კი ბანდერელთა საკითხი იყო.

– უკრაინამ გმირებად გამოაცხადა ბანდერელები, რომლებიც პოლონელებს ხოცავდნენ! – წერს პოლონური მედია.

კამპანია იმდენად აგრესიულ ხასიათს ატარებდა, რომ პოლონეთის პრეზიდენტი დუდა იძულებული გახდა, ეთქვა: უკრაინასთან თანამშრომლობის გაფართოება აუცილებელია, მაგრამ ამას წინ ისტორიული სინამდვილის აღიარება უნდა უძღოდესო.

ამრიგად, პოლონეთის პრეზიდენტმა უკრაინელებს ცხადი სიგნალი გაუგზავნა: ბანდერელთა დაგმობის გარეშე ჩვენთან თანამშრომლობის გაღრმავება არ მოხდებაო. კიევმა ამას ყური არ ათხოვა.

მიუხედავად ამისა, შეხვედრა მაინც შედგა.

პოლტორაკმა და მაცერევიჩმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომლებიც პოლონეთ-უკრაინას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს. მათ შორის, საუბარია სარაკეტო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზეც.

## სტოკჰოლმში სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა

შვედეთის დედაქალაქში ერთ-ერთ კაფესთან უცნობმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც 2 ადამიანი დაიღუპა.

თვითმხილველების თქმით, ეჭვმიტანილებმა ცეცხლი თეთრი ავტომანქანიდან გახსნეს, რომელშიც, სულ მცირე, 4 ადამიანი შენიშნეს.

სროლის შედეგად არიან დაშავებულებიც, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილზე უსაფრთხოების ზომებია გამკაცრებული. დამნაშავეებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

გამოძიება სხვადასხვა ვერსიაზე მუშაობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მომსახურება

- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დინამოს ვერ აჩერებენ

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ოლიმპი-დინამო 75:83**
**(20:21, 11:16, 21:24, 23:22)**

გუნდებს შორის შედეგებში სხვაობა მნიშვნელოვანი გახლდათ და ფავორიტად ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამო მიიჩნეოდა. საბოლოოდ ყველაფერი დინამოელთა სასარგებლოდ დასრულდა. ჩემპიონატის ლიდერმა 8-ქულიანი, თუმცა უპრობლემოდ მოპოვებული გამარჯვება მოიპოვა – 83:75.

მატჩის დებიუტი თანაბარი იყო და საწყისი პერიოდი დინამოელებმა მხოლოდ 1 ქულით – 21:20 მოიგეს, ხოლო დიდ შესვენებამდე ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი 6-ქულიანი ლიდერობით მივიდა – 37:31. მესამე პერიოდში ფავორიტად მიჩნეულმა გუნდმა ლიდერობა კიდევ 3 ქულით გაიუმჯობესა და ბოლო ათწუთეული ისე ჩაითამაშა, მის გამარჯვებას საფრთხე არ დამუქრებია.

დინამოს 24 ქულითა და 13 მოხსნით ილია ლონდარიძემ ულიდერა. 18 ქულა და 8 პასი მიითვალა მიხეილ ბერიშვილმა. ოლიმპში 14 ქულით საუკეთესო იყო ლევან მასხულია.

**ქუთაისი-კაქტუსი 93:82**
**(24:17, 20:18, 32:22, 17:25)**

პირველად მოხდა, რომ სუპერლიგის მატჩი მაყურებლების გარეშე ჩატარდა. ქუთაისის სპორტის სასახლეში, სადაც ადგილობრივი გუნდის მატჩებზე მაყურებელი ტრიბუნებს ავსებს, სუპერლიგის მორიგი ტურის მატჩმა ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაიარა.

მიზეზი ფედერაციის მიერ გაცემული სანქცია გახლდათ, რაც გასულ ტურში ქუთაისურ მატჩში მომხდარ ამბებს უკავშირდებოდა. დინამოსთან შეხვედრის მსვლელობისას ტრიბუნიდან მოედანზე გარკვეული საგნები გადმოვარდა, რაც გახდა კიდეც ზემოთ აღნიშნული სანქციის მიზეზი.

ქუთაისელებმა ცარიელი ტრიბუნების მიუხედავად კაქტუსთან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. პირველი პერიოდი მასპინძლებმა 24:17 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს – 44:35.

მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 32:22 მოიგეს და დასკვნით მეოთხედს 19-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ. საბოლოოდ ქუთაისმა 93:82 იმარჯვა და დაგეგმილი 2 ქულა დამსახურებულად მოიპოვა.

ქუთაისელთაგან 23 ქულითა და 13 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა. 19 ქულა დაგროვდა გიორგი ბარბაქაძის ანგარიშზე, ხოლო აკაკი ლომოურმა 15 ქულა მიითვალა. დამარცხებულთაგან 28 ქულით საუკეთესო იყო ბექა ჩიკვილაძე, 21 ქულა და 9 მოხსნა დავით ლომიძის ანგარიშზე დაგროვდა.

**ბათუმი-მგზავრები 81:66**
**(17:16, 22:13, 21:19, 21:18)**

ბათუმელებმა გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვეს, თუმცა პირველ პერიოდში თანაბარი ბრძოლა იყო და ვერავინ გაიგებდა, რომელი გუნდის სასარგებლოდ დასრულდებოდა მატჩი.

საწყის პერიოდში თამაში თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. ბათუმელებმა 1 ქულით იმარჯვეს, თუმცა მეორე ათწუთეულში მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა და ზღვისპირელები გუნდური თამაშის წყალობით სოლიდურ ლიდერობას დაეპატრონნენ – 39:29.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. მეტიც, ბათუმელებმა მოახერხეს და თამაშის დასრულებამდე ლიდერობა კიდევ უფრო გაზარდეს და საბოლოოდ 15 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს.

19 ქულითა და 8 მოხსნით გამარჯვებულებს ილია შემოსიუკმა ულიდერა. 16 ქულა მიითვალა მეორე უკრაინელმა ლეგიონერმა იგორ კრივცოვმა. მგზავრებში 14 ქულით ბომბარდირი გახდა ოთარ ფხაკაძე, ხოლო 13 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა კრისტოფერ მერფიმ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 8 | 8 | 0 | 675-536 | 16 |
| 2.ქუთაისი | 8 | 6 | 2 | 646-610 | 14 |
| 3.ბათუმი | 8 | 5 | 3 | 611-568 | 13 |
| 4.რუსთავი | 7 | 5 | 2 | 572-556 | 12 |
| 5.კაქტუსი | 8 | 3 | 5 | 644-686 | 11 |
| 6.მგზავრები | 8 | 1 | 7 | 557-662 | 9 |
| 7.სოხუმი | 7 | 2 | 5 | 568-623 | 9 |
| 8.ოლიმპი | 8 | 1 | 7 | 521-553 | 8 |



# სამტრედია საჩემპიონო საპასუხო მატჩს კომფორტული უპირატესობით ხვდება



**სამტრედია – ჩიხურა 2:0**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0, 2:0 ზივზივაძე (18, 40)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი (მთივლიშვილი 90), მანჯგალაძე (ცნობილაძე 90), არაბული, ზივზივაძე, ჯიქია (გამყრელიძე 85)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, რეხვიაშვილი, გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, განუგრავა (ლექვთაძე 46), დობროვოლსკი, კორიფაძე, ლობჟანიძე (გაბედავა 87), ტატანაშვილი (მუმლაძე 46), სარდალიშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე სამტრედიამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ფინალური დაპირისპირების პირველ მატჩში საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა მეტოქე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველი ნახევარი სამტრედიელთა სრული უპირატესობით წარიმართა. გია ცეცაძის გუნდმა მეტოქის კართან რამდენიმე რეალური მომენტი შექმნა. მეტოქის აქტიურობას საჩხერელებმა რამდენიმე არცთუ ისე სახიფათო შეტევით უპასუხეს.

ანგარიში მე-18 წუთზე გაიხსნა, მასპინძლებმა სწრაფი კონტრიერიში განავითარეს, დავით ჯიქიამ შესანიშნავი პასით ბუდუ ზივზივაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, ამ უკანასკნელს კი გატანა აღარ გასჭირვებია.

სამტრედია ერთ გოლს არ დასჯერდა და მეტოქეს კვლავ აქტიურად უტევდა, შეტევებმა შედეგი ტაიმის მიწურულს გამოიღო, მე-40 წუთზე ბუდუ ზივზივაძემ გადაცემა ჩაჭრა, ბურთი არაბულთან გაათამაშა და საჯარიმოში შეჭრილმა მეკარეს დაბალ კუთხეში აუღებელი დაურტყა.

სამტრედიელთა ახალგაზრდა შემტევს პირველი ნახევრის ბოლო წუთზე ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი კარის ბადეს გარედან მოხვდა.

მეორე ტაიმი ჩიხურას ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და სამტრედია ძირითადად კონტრშეტევაზე თამაშობდა. კარგი შანსი ჰქონდა საბა ლობჟანიძეს – საჩხერელთა ნახევარმცველმა ახლო მანძილიდან ტექნიკურად დაარტყა ომარ მიგინეიშვილის კარის მიმართულებით, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს. სახიფათო იყო სამტრედიელთა საჯარიმო დარტყმაც: ლაშა შერგელაშვილის შესრულებული სტანდარტი დინო ჰამზიჩმა გაჭირვებით მოიგერია.

დასასრულს, ორივე გუნდის კართან რამდენიმე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

საპასუხო მატჩს, რომელიც 11 დეკემბერს თბილისში გაიმართება, გია ცეცაძის გუნდი კომფორტული უპირატესობით ხვდება.

# ფაჩულიასა და გოლდენ სტეიტის მორიგი გამარჯვება

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



წინა ტურში შინ ჰიუსტონთან დამარცხებულმა გოლდენ სტეიტმა შური ფინიქს სანსზე იძია. არიზონელები კალიფორნიის ქალაქ ოკლენდს ეწვივნენ, სადაც ზაზა ფაჩულიას გუნდმა მათ 29-ქულიანი მარცხი აგემა. გოლდენ სტეიტმა „მზეებს“ შანსი არ დაუტოვა და 138:109 სძლია.

ზაზა ფაჩულია მოედანზე 15 წუთით გავიდა და საკმაოდ შედეგიანადაც გაისარჯა. ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მისთვის მიცემული სათამაშო დრო საკმაოდ პროდუქტიულად გამოიყენა.

ფაჩულიამ 5-დან 3 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ზაზას საბოლოო მონაგარი გახლდათ 7 ქულა, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 პასი.

პირველი ნახევარი ოკლენდელებმა მხოლოდ 9 ქულით მოიგეს, თუმცა მე-3 პერიოდში მეტოქეს შავი დღე აყარეს და გასანადგურებლად გაწირეს. ეს უპირველესად სტეფ კარის დამსახურებაა, რომელმაც მისი ქულიდან 20 სწორედ მესამე პერიოდში მიითვალა და 12-წუთეული მასპინძლებს 42:27 მოაგებინა.

ბოლო მეოთხედს აზრი დაეკარგა, თუმცა ოკლენდელმა სათადარიგოებმა ლიდერობას 5 ქულაც წაამატეს და გოლდენ სტეიტმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

17 მოგებითა და 3 მარცხით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციასა და ლიგას ლიდერობს. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს ისევ ოკლენდში, ამჯერად ინდიანასთან ელის.

# შედეგები

## 3 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ჩელსი ........ 1:3
კრ.პალასი-საუთჰემპტონი ........ 3:0
სტოკი-ბარნლი ........ 2:0
სანდერლენდი-ლესტერი ........ 2:1
ტოტენჰემი-სუონსი ........ 5:0
ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი ........ 3:1
ვესტ ჰემი-არსენალი ........ 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 14 | 11 | 1 | 2 | 32-11 | 34 |
| 2.არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 33-14 | 31 |
| 3.ლივერპული | 13 | 9 | 3 | 1 | 32-14 | 30 |
| 4.სიტი | 14 | 9 | 3 | 2 | 30-15 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 6.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 7.მანჩესტერი | 13 | 5 | 5 | 3 | 18-15 | 20 |
| 8.ევერტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-15 | 19 |
| 9.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-19 | 19 |
| 10.უოტფორდი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-24 | 18 |
| 11.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-15 | 17 |
| 12.ბორნმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-19 | 15 |
| 13.კრ.პალასი | 14 | 4 | 2 | 8 | 24-26 | 14 |
| 14.ბარნლი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 |
| 15.ლესტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-24 | 13 |
| 16.მიდლსბრო | 13 | 2 | 6 | 5 | 12-15 | 12 |
| 17.ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 18.სანდერლენდი | 14 | 3 | 2 | 9 | 14-24 | 11 |
| 19.ჰალი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-28 | 11 |
| 20.სუონსი | 14 | 2 | 3 | 9 | 16-31 | 9 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბირმინგემი-ბარნსლი ........ 0:3
ბლექბერნი-ჰადერსფილდი ........ 1:1
ბრისტოლი-იფსვიჩი ........ 2:0
ბარტონი-როტერჰემი ........ 2:1
კარდიფი-ბრაიტონი ........ 0:0
ფულემი-რედინგი ........ 5:0
ნორვიჩი-ბრენტფორდი ........ 5:0
უენსდი-პრესტონი ........ 2:1
უიგანი-დერბი ........ 0:1
ლიდსი-ასტონ ვილა ........ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-სევილია ........ 2:1
ბარსელონა-რეალი ........ 1:1
ლეგანესი-ვილიარეალი ........ 0:0
ატლეტიკო-ესპანიოლი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 4 | 0 | 37-12 | 34 |
| 2.ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 34-15 | 28 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 28-11 | 24 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 6.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 22-14 | 23 |
| 7.ეიბარი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-16 | 21 |
| 8.ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 17-16 | 20 |
| 9.სელტა | 13 | 6 | 2 | 5 | 21-23 | 20 |
| 10.ლას პალმასი | 13 | 5 | 4 | 4 | 24-21 | 19 |
| 11.მალაგა | 13 | 5 | 4 | 4 | 21-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 4 | 6 | 3 | 17-17 | 18 |
| 13.ალავესი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-16 | 16 |
| 14.ბეტისი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-25 | 14 |
| 15.ლეგანესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-25 | 14 |
| 16.ვალენსია | 13 | 3 | 2 | 8 | 17-24 | 11 |
| 17.დეპორტივო | 13 | 2 | 4 | 7 | 13-23 | 10 |
| 18.ხიხონი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-27 | 9 |
| 19.გრანადა | 14 | 1 | 5 | 8 | 13-30 | 8 |
| 20.ოსასუნა | 13 | 1 | 4 | 8 | 12-26 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მურსია-ლუგო ........ 1:1
მირანდესი-ელჩე ........ 1:0
ნუმანსია-ალმერია ........ 1:0
კადისი-სარაგოსა ........ 3:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-გლადბახი ........ 4:1
ლევერკუზენი-ფრაიბურგი ........ 1:1
ვოლფსბურგი-ჰერტა ........ 2:3
ვერდერი-ინგოლშტადტი ........ 2:1
ჰოფენჰაიმი-კიოლნი ........ 4:0
ლაიპციგი-შალკე ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 13 | 10 | 3 | 0 | 29-11 | 33 |
| 2.ბაიერნი | 13 | 9 | 3 | 1 | 29-9 | 30 |
| 3.ჰერტა | 13 | 8 | 3 | 2 | 22-13 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 7 | 0 | 25-14 | 25 |
| 5.დორტმუნდი | 13 | 7 | 3 | 3 | 31-15 | 24 |
| 6.აინტრახტი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-10 | 24 |
| 7.კიოლნი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-12 | 22 |
| 8.შალკე | 13 | 5 | 2 | 6 | 18-15 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-21 | 17 |
| 10.მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 23-25 | 17 |
| 11.ფრაიბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 17-25 | 16 |
| 12.აუგსბურგი | 12 | 3 | 4 | 5 | 10-14 | 13 |
| 13.გლადბახი | 13 | 3 | 4 | 6 | 13-22 | 13 |
| 14.ვერდერი | 13 | 3 | 2 | 8 | 17-32 | 11 |
| 15.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-18 | 10 |
| 16.დარმშტადტი | 12 | 2 | 2 | 8 | 11-24 | 8 |
| 17.ინგოლშტადტი | 13 | 1 | 3 | 9 | 10-24 | 6 |
| 18.ჰამბურგი | 12 | 0 | 4 | 8 | 8-27 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-დინამო ........ 1:0
ნიურნბერგი-ზანდჰაუზენი ........ 1:3

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ატალანტა ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 12 | 0 | 3 | 32-13 | 36 |
| 2.რომა | 14 | 9 | 2 | 3 | 33-16 | 29 |
| 3.მილანი | 14 | 9 | 2 | 3 | 25-18 | 29 |
| 4.ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 27-14 | 28 |
| 5.ნაპოლი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| 6.ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 24-17 | 28 |
| 7.ტორინო | 14 | 7 | 4 | 3 | 31-17 | 25 |
| 8.ინტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-21 | 21 |
| 9.ფიორენტინა | 13 | 5 | 5 | 3 | 20-15 | 20 |
| 10.ჯენოა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-15 | 19 |
| 11.სამპდორია | 14 | 5 | 4 | 5 | 17-20 | 19 |
| 12.კალიარი | 14 | 6 | 1 | 7 | 22-31 | 19 |
| 13.კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 14.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 14-21 | 16 |
| 15.უდინეზე | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| 16.სასუოლო | 14 | 4 | 2 | 8 | 17-26 | 14 |
| 17.ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-21 | 10 |
| 18.პესკარა | 14 | 1 | 4 | 9 | 11-26 | 7 |
| 19.კროტონე | 14 | 1 | 3 | 10 | 11-27 | 6 |
| 20.პალერმო | 14 | 1 | 3 | 10 | 10-27 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ასკოლი ........ 1:2
ბარი-სალერნიტანა ........ 2:0
ლატინა-ენტელა ........ 1:1
ნოვარა-ვიჩენცა ........ 2:1
პრო ვერჩელი-პიზა ........ 0:0
ტერნანა-ბრეშა ........ 1:0
ჩიტადელა-სპალი ........ 1:2
სპეცია-ფროზინონე ........ 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-პსჟ ........ 3:0
ბორდო-ლილი ........ 0:1
ანჟე-ლორიანი ........ 2:2
მონაკო-ბასტია ........ 5:0
გენგამი-ნანტი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 16 | 11 | 3 | 2 | 49-16 | 36 |
| 2.ნიცა | 15 | 11 | 3 | 1 | 27-10 | 36 |
| 3.პსჟ | 16 | 11 | 2 | 3 | 30-11 | 35 |
| 4.გენგამი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 5.ლიონი | 15 | 8 | 1 | 6 | 28-18 | 25 |
| 6.ბორდო | 16 | 6 | 6 | 4 | 20-18 | 24 |
| 7.რენი | 15 | 7 | 3 | 5 | 16-19 | 24 |
| 8.ტულუზა | 15 | 6 | 4 | 5 | 18-13 | 22 |
| 9.სტ.ეტიენი | 15 | 5 | 7 | 3 | 16-12 | 22 |
| 10.ანჟე | 16 | 5 | 4 | 7 | 15-18 | 19 |
| 11.მონპელიე | 16 | 4 | 7 | 5 | 23-28 | 19 |
| 12.მარსელი | 15 | 4 | 6 | 5 | 13-17 | 18 |
| 13.მეცი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-29 | 18 |
| 14.ლილი | 16 | 5 | 2 | 9 | 15-21 | 17 |
| 15.დიჟონი | 16 | 3 | 7 | 6 | 22-25 | 16 |
| 16.ნანსი | 15 | 4 | 4 | 7 | 12-19 | 16 |
| 17.კაენი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 18.ბასტია | 16 | 3 | 5 | 8 | 12-20 | 14 |
| 19.ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 9-26 | 13 |
| 20.ლორიანი | 16 | 3 | 3 | 10 | 16-29 | 12 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

იგლზი-ჰერენვენი ........ 1:3
როდა-პსვ ........ 0:0
ექსელსიორი-ალკმაარი ........ 3:3
ვიტესი-ზვოლე ........ 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ტონდელა ........ 3:1
სპორტინგი-სეტუბალი ........ 2:0
პორტუ-ბრაგა ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-ურალი ........ 4:0
როსტოვი-ზენიტი ........ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-სელტიკი ........ 3:4
ჰამილტონი-პარტიკი ........ 1:1
კილმანროკი-დანდი ........ 2:0
რეინჯერსი-აბერდინი ........ 2:1
როსი-ჰართსი ........ 2:2
სტ.ჯონსონი-ინვერნესი ........ 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ვადუცი ........ 3:0
იანგ ბოიზი-ბაზელი ........ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-სტ.პოლენი ........ 1:0
ადმირა-აუსტრია ........ 0:2
ზალცბურგი-ალტახი ........ 4:1
რიდი-მატერსბურგი ........ 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბრიუგე-ოსტენდე ........ 2:0
ვარეგემი-ბევერენი ........ 1:1
სტ.ტრუიდენი-მუსკრონი ........ 1:0
ვესტერლო-გენტი ........ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პლატანიასი-პანიონიოსი ........ 1:1
ვერია-პანეთოლიკოსი ........ 1:1
კერკირა-აეკი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ანთალია ........ 2:2
ფენერბახჩე-ბეშიქთაში ........ 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იიჰლავა-ლიბერეცი ........ 1:0
ბრნო-კარვინა ........ 1:1
სპარტა-ტეპლიცე ........ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-კორონა ........ 1:0
სლასკი-პოგონი ........ 1:1
ვისლა-ლეხია ........ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-დინამო ........ 2:2
ჩერნომორეცი-ვოლინი ........ 0:0
ზორია-დნიპრო ........ 2:3

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ვიბორგი ........ 1:2
კოპენჰაგენი-რანდერსი ........ 1:0

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა ინფორმაციას გვაძლევს სისხლის საერთო ანალიზი

ეკა ირემაშვილი

სისხლის საერთო ანალიზი ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას იძლევა. როგორც მედიკოსები აცხადებენ, სისხლის საერთო ანალიზი ექიმის დანიშნულების მიხედვით უნდა გაკეთდეს და არ არის საჭირო ამ ანალიზის ყოველთვიურად კეთება.

რა ინფორმაციას იძლევა სისხლის საერთო ანალიზი, როდის ინიშნება კვლევა და ვის სჭირდება მისი მუდმივი კონტროლი?

ამ თემებზე შპს „სამედიცინო ჰოლდინგ 23"-ის ოჯახის ექიმი, თერაპევტი **შორენა ბურჭულაძე** გვესაუბრება.

– სისხლი ორგანიზმის შინაგანი გარემოს შემადგენელი თხიერი ქსოვილია. ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები, წესისამებრ, მასზეც აისახება, ამიტომ ყველა ექიმი, უპირველესად, სწორედ სისხლის საერთო ანალიზს ითხოვს. სისხლის საერთო ანალიზი წარმოადგენს ლაბორატორიულ კვლევას, რომელიც საშუალებს იძლევა, შეფასდეს სისხლის სურათის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. მას სხვაგვარად სისხლის კლინიკურ ანალიზს უწოდებენ, – ამბობს შორენა ბურჭულაძე.

***– როდის არის საჭირო სისხლის საერთო ანალიზის გაკეთება?***

– ის ტარდება სხვადასხვა მდგომარეობის დროს, როგორიცაა საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, დაღლილობა, ცხელება, სისხლდენა, ინფექციური პროცესების არსებობა, ალერგიული რეაქციების დროს, ქირურგიული პროცესების წინ და ა.შ. გარდა ამისა, სისხლის საერთო ანალიზი წარმოადგენს პროფილაქტიკური კვლევების ნაწილს.

***– რა ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ამ ანალიზის მიხედვით?***

– სისხლის საერთო ანალიზი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა არა მარტო სისხლის, არამედ ორგანიზმის სხვა სისტემებში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე და მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: 1. ლეიკოციტების რაოდენობას; 2. ლეიკოციტარულ ფორმულას; 3. ერითროციტების რაოდენობას; 4. ერითროციტების დალექვის რეაქციას; 5. თრომბოციტების რაოდენობას; 6. ჰემოგლობინის შემცველობას; 7. ფერადობის მაჩვენებელს; 8. ჰემატოკრიტს.

***– წელიწადში რამდენჯერ უნდა გაიკეთოს ადამიანმა სისხლის საერთო ანალიზი?***

– სისხლის საერთო ანალიზი ადამიანმა პროფილაქტიკისათვის წელიწადში ორჯერ უნდა გამოიკვლიოს. ზოგჯერ პაციენტს ჰგონია, რომ ყოველთვე უნდა ჩაიტაროს ეს ლაბორატორიული კვლევა, მაგრამ ეს არ არის სწორი და მართებული მიდგომა. თვითონ ექიმი წყვეტს სისხლის საერთო ანალიზის ჩატარების საჭიროებას გარკვეული დაავადებების შესაბამისად.



შორენა ბურჭულაძე

ერითროციტები, ანუ სისხლის წითელი უჯრედები ძვლის ტვინში წარმოიქმნებიან. მათი ძირითადი ფუნქციაა ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ტრანსპორტირება. ერითროციტების მომატებას ეწოდება ერითროციტოზი, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიოლოგიურიც – ახალშობილებში, სიმაღლეზე ასვლის დროს და პათოლოგიურიც, ანუ კონკრეტული დაავადებით გამოწვეული, მაგალითად, ერითრემიით, ფილტვის დაზიანებით, თირკმლისა და გულის დაავადებებით.

***– როდის ვლინდება ანემია?***

– ერითროციტების რაოდენობის შემცირება ანემიის ერთ-ერთი ნიშანია. ანემია ვითარდება ბევრი პათოლოგიის დროს, როგორებიცაა თალასემია, ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია, ფოლიუმის მჟავისა და ვიტამინ ბე 12-ის დეფიციტი, ჭარბი მენსტრუალური სისხლდენა.

ანემიის დიაგნოსტიკაში მთავარ როლს ასრულებს ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრა. მისი მაჩვენებელი ქვეითდება რკინადეფიციტური ანემიის, მწვავე და ქრონიკული სისხლდენის ჰემოგლობინოპათიების, ანუ თალასემიის დროს. ჰემოგლობინის დონე მატულობს ერითრემიის შემთხვევაში, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების, გულის უკმარისობის, თირკმლისა და ღვიძლის სიმსივნეების დროს.

ერითროციტების რაოდენობა იკლებს ასევე სტრესის, შიმშილის, რკინისა და ვიტამინების დეფიციტის, ფიზიკო-ემოციური დატვირთვის, ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც.

ერითროციტების დალექვის რეაქცია, იმავე ედს-ის მომატება ირიბად მიუთითებს ორგანიზმში ანთებით პროცესზე, ასევე აღინიშნება მიოკარდიუმის ინფარქტის, ანემიების, თირკმლის პათოლოგიებისა და ორსულობის დროს.

სისხლის ფერადობის მაჩვენებელი გვიჩვენებს ჰემოგლობინის დონის შეფარდებას ერითროციტების რაოდენობასთან და იცვლება სხვადასხვა ტიპის ანემიის დროს.

ლეიკოციტების რაოდენობის მომატების, ანუ ლეიკოციტოზის მიზეზი შეიძლება იყოს ინფექციური პროცესები, ქსოვილების დაზიანება, მაგალითად, გულის კუნთის, დამწვრობა, სტრესი, ტუბერკულოზი, თირკმლის უკმარისობა, სიმსივნეები, ლეიკემია. ასევე მათი რაოდენობის მომატება შეიძლება გამოიწვიოს კორტიკოსტეროიდების გამოყენებამ, თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებმა, ელენთის ამოკვეთამ.

***– რა იწვევს ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებას?***

– რაც შეეხება ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებას, ლეიკოპენიას, ის აღინიშნება თირკმლის უკმარისობის, რევმატოიდული ართრიტის, აპლასტიური ანემიის, ვირუსული ინფექციების, აივ ინფექციის, ალკოჰოლიზმის დროს.

მნიშვნელოვანია ასევე ლეიკოციტის ცალკეული ტიპის რაოდენობრივი ცვლილებები. ლეიკოციტების ძირითად ტიპს ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები, მონოციტები და ლიმფოციტები წარმოადგენენ.

ნეიტროფილების მომატება მიუთითებს ძირითადად ჩირქოვან ანთებით პროცესებზე, ეოზინოფილების მომატება – ალერგიული რეაქციებისა და ჭიებით ინვაზიების, რაც შეეხება მონოციტებსა და ლიმფოციტებს, ისინი იმუნური სისტემის ძირითადი უჯრედებია.

თრომბოციტები სისხლის შედედებაზე არიან პასუხისმგებელი, ასევე, მონაწილეობენ ანთებით პროცესებში. მათი რაოდენობის მომატება აღინიშნება სისხლდენის, რკინის დეფიციტის, სიმსივნეების, ძვლის ტვინის პათოლოგიის დროს, ხოლო შემცირება დამახასიათებელია იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურის, ორსულობის, აუტოიმუნური დაავადების, ზოგიერთი მედიკამენტის მიღების დროს.

ჰემატოკრიტი წარმოადგენს სისხლის უჯრედების შეფარდებას მის თხიერ ნაწილთან, პლაზმასთან. ის გულისხმობს, სისხლის საერთო მოცულობის თუ რა ნაწილი უკავიათ ერითროციტებს. ჰემატოკრიტის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენამ ან სისხლის უჯრედების წარმოქმნის დაქვეითებამ, რაც განპირობებულია, მაგალითად, ძვლის ტვინის სიმსივნეებით. მომატების მიზეზებს შორის კი უნდა აღინიშნოს დეჰიდრატაცია, პოლიციტემია და ა.შ.

***– რა უნდა გავითვალისწინოთ სისხლის საერთო ანალიზის დროს?***

– სისხლის საერთო ანალიზის პასუხის ინტერპრეტაციისას აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ასაკი, სხვადასხვა მედიკამენტის მიღება, ორსულობა. ბავშვთა ასაკში განსხვავებულია სისხლის პარამეტრების ნორმები, ორსულობისას ფიზიოლოგიურად ხდება ერითროციტების დაქვეითება და ლეიკოციტების მომატება. ზოგიერთი მედიკამენტი იწვევს სისხლის მხრივ ცვლილებებს, მაგალითად, თრომბოციტების რაოდენობას ამცირებს თიაზიდური ტიპის შარდმდენები, სტეროიდები, ქიმიოთერაპიული პრეპარატები, ზოგი ანტიბიოტიკი და ა.შ.

გაზაფხულზე ადამიანები აღნიშნავენ საერთო სისუსტეს, წნევის ცვალებადობას, დაღლილობას, ამიტომ რეკომენდებულად ითვლება სისხლის საერთო ანალიზის კონტროლი, რათა დავადგინოთ, ხომ არ არის ანემია ან სხვა რაიმე პათოლოგია.

## სპორტი — ოქროს ბურთის ნომინანტები ცნობილია



ფიფამ იმ სამი ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც „ოქროს ბურთისთვის" იბრძოლებენ.

ესენი არიან: მადრიდის რეალისა და პორტუგალიის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ, ბარსელონასა და არგენტინის ნაკრების ლიდერი ლიონელ მესი და მადრიდის ატლეტიკოსა და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ანტუან გრიზმანი. სწორედ ისინი შეეცდებიან წლის საუკეთესოს წოდების მოპოვებას.

ჯილდოსთვის სულ 20 ფეხბურთელი იბრძოდა. ფიფამ მათგან სამი საუკეთესო შეარჩია.

წლის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდოსთვისაც 3 სპეციალისტი იბრძოლებს – კლაუდიო რანიერი, ზინედინ ზიდანი და ფერნანდუ სანტუში.

ფიფამ სამივე მწვრთნელი წარმატებული მუშაობის შედეგად გამოარჩია. კლაუდიო რანიერიმ ლესტერთან ერთად ინგლისის პრემიერლიგა მოიგო. ზინედინ ზიდანმა რეალი სეზონის შუაში ჩაიბარა და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო. რაც შეეხება ფერნანდუ სანტუშს, ის პორტუგალიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი გახდა და ქვეყნის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

აქაც გაფართოებულ სიაში სულ 20 მწვრთნელი იყო.

გამარჯვებული 9 იანვარს ციურიხში გამოვლინდება, სადაც გალადაჯილდოება გაიმართება.

## ასტროპროგნოზი
### 5 დეკემბრისათვის



**ვერძი** – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **კურო** – ჰარმონიული დღეა. სამართლიანობა ზეიმობს. მიზანს საკმაოდ იოლად აღწევთ. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში წვრილმან საქმეებზე დიდ დროს დახარჯავთ. საღამო პოზიტიური იქნება. **კირჩხიბი** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. კარგი პერიოდია ქალაქგარეთ გასასვლელად, სამოგზაუროდ. **ლომი** – ახლობელთან კონფლიქტი გელით. სკანდალს მხოლოდ თავდაჭერითა და გონიერებით აიცილებთ. **ქალწული** – მეგობრები საკმაოდ ჭკვიანურ რჩევას მოგცემენ, რაც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. **სასწორი** – გაიფართოვეთ ნაცნობობის წრე. გამორიცხული არ არის, თქვენმა კომუნიკაბელურობამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე გავლენა მოახდინოს. **ღრიანკალი** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება, ოღონდ ეს ძვირფას ნივთებს არ ეხება. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. **მერწყული** – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. კომერციული საქმიანობა დღეს არასასურველია. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



## ქართველი ფეხბურთელი მსაჯის ცემის გამო დააკავეს

ხობის კოლხეთის ფეხბურთელი ირაკლი ქობალია მსაჯის ცემის ფაქტზე დააკავეს. ინციდენტი საქართველოს ჩემპიონატის პლეი აუტის თამაშის დროს მოხდა, სადაც ერთმანეთს კოლხეთი და წალენჯიხის სქური ეთამაშებოდნენ.

ფეხბურთელი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაშია გადაყვანილი.

ფეხბურთელმა მსაჯი მას შემდეგ სცემა, როცა არბიტრმა წალენჯიხელთა კარში პენალტი არ დანიშნა. ამ ინციდენტის გამო შეხვედრა ჩაიშალა.

კოლხეთის მთავარი მწვრთნელის როინ ონიანის თქმით, თამაშის დროს ირაკლი ქობალია საჯარიმოში წაიქცა და თერთმეტმეტრიან დარტყმას ითხოვდა, მსაჯმა ჩათვალა, რომ წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ფეხბურთელი აფექტის მდგომარეობაში იყო და, სავარაუდოდ, შეხლა-შემოხლის დროს მსაჯს მუხლი მოხვდა.

პირველ ლიგაში მომხდარი ფაქტი უკვე შეისწავლა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიდეოჩანაწერების შემდეგ, წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება და ხობის „კოლხეთს" წაგება (0:3) ჩაეთვალა, კლუბი კი 5.000 ლარით დაჯარიმდა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სკანვორდი



1. ქვეყნის სამხედრო თავდასხმა სხვა ქვეყანაზე; 2. არგონავტების ხომალდი; 3. მზის სისტემის პლანეტა; 4. გარეული ცხოველი ლამაზი რქებით; 5. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 6. ლატვიის დედაქალაქი; 7. სიტყვათა გრამატიკული კლასი ზოგ ენაში; 8. წრის ნაწილი; 9. პატარა ზომის კენგურუ; 10. „შენ ხარ ..."; 11. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 12. ბილიარდის ჯოხი; 13. მხატვრული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი; 14. მთა მესხეთის ქედზე; 15. ბერძნული ანბანის ასო; 16. ნებადართული, დაკანონებული; 17. შენიღბული დაცინვა; 18. ჭაობის მცენარე; 19. დიდი, საზეიმო, ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 20. მწერალი ... ბეჟანიშვილი; 21. მეგრული კერძი; 22. მთავრობის დიპლომატიური მიმართვა სხვა ქვეყნის მთავრობისადმი; 23. ერთგვარი პური; 24. მტაცებელი ცხოველი; 25. მაჰმადიანთა ღმერთი; 26. შეუწვავი, მოუხარშავი; 27. სახელდახელოდ თქმული გამკილავი ლექსი; 28. ... ბოლდუინი; 29. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. პირი, რომელიც სპორტულ შეჯიბრებას სჯის; 32. გრაფი, ..., ჰერცოგი; 33. ჭადრაკის ფიგურა; 34. „მონა ..." (ტელესერიალი); 35. ალგორითმული ენა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. ვირუსი; 7. „ბემბი"; 9. კობზა; 12. ეთნოგენეზი; 14. სოპოტი; 15. კრაზანა; 17. მონასპა; 20. ქიმია.

**თარაზულად:** 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. „ჰიტროუ"; 13. ათინათი; 16. ბარაკონი; 18. ტონგა; 19. „მაზდა"; 21. „მოსტრა"; 22. ენოლოგია; 23. ტრაპეზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. მსუყე; 5. პალანგა; 8. პუფი; 9. ნიუანსი; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შაირი; 15. სმოგი.

**თარაზულად:** 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. იფქლი; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. „გეთი"; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

# რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ ოქროს პრომეთეს მფლობელია




თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალმა დახურვის საზეიმო ცერემონიალზე გამარჯვებულები დაასახელა.

ოქროს პრომეთე საუკეთესო ფილმისთვის ქართველი რეჟისორის რუსუდან გლურჯიძის ფილმმა „სხვისმა სახლმა“ მოიპოვა. ფილმი ფესტივალის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. სურათის სიუჟეტი 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება. მთავარი გმირები კონფლიქტის შედეგად დაცარიელებულ სოფელში ჩადიან, სადაც სხვის სახლში უწევთ ცხოვრება.

ვერცხლის პრომეთე საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო ებრაელმა რეჟისორმა იანივ ბერმანმა ფილმისთვის „პატარა ადამიანების მიწა“.

საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გახდა რეზო ესაძის „თვე, როგორც ერთი დღე“.

საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილის ფილმმა გაიმარჯვა.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად გიორგი თოდრიას „დაკარგული სოფელი“ დასახელდა.

განსაკუთრებულად აღინიშნა სალომე ჯაშის „დაისის მიზიდულობა“ და ხათუნა ხუნდაძის „ჩვენი წელთაღრიცხვით 2015“.

# გალაკტიონ ტაბიძის 125 წლის იუბილე სპექტაკლით აღინიშნება

„ლურჯა ცხენები“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც 5 დეკემბერს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში იქნება წარმოდგენილი.

სპექტაკლი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის 125 წლის იუბილეს და შექმნილია დიდი პოეტის შემოქმედების მიხედვით.

სპექტაკლი-ფანტაზია რეალურ, მისტიკურ, სოციალურ თუ ესთეტიკურ ჭრილშია გადაწყვეტილი.

სპექტაკლის რეჟისორია ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი, მხატვარი – ელენე დუდუჩავა. სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის ახალგაზრდული თეატრისა და თეატრალური სტუდია „პიეროს“ მსახიობები: ავთანდილ აჩუაშვილი, ვანო ბებოშვილი, თამარ ბოლქვაძე, ელენე დუდუჩავა, ტატა ეჯიბია, იოანე თათანაშვილი, ნიკოლოზ მათიაშვილი, ელენე მელქაძე, გიორგი ოქრუაშვილი და არჩილ სულაქველიძე.

– რთულია იმ სიმბოლურ-მეტაფორული სახეების ამოხსნა, რომელიც პოეტის სულის ნაწილია. „ლურჯა ცხენები“ ის წარმოდგენაა, სადაც მიწიერ-ზეციერის, ხილული თუ უხილავი სამყაროს, „ცდომილების სულისა“ და „ჭეშმარიტების სულის“ შერწყმაა, – ამბობს რეჟისორი.

# ქეთევან კიკნაძე თბილისში მშენებლობების შეჩერებას ითხოვს



მსახიობი ქეთევან კიკნაძე თბილისში მშენებლობების შეჩერებას ითხოვს:

– რა მშენებლობაა გაჩაღებული, ეს არასდროს არ ყოფილა, ქალაქი ჩაიხუთა. მთაწმინდა გადაილობა მთლიანად. იქიდან შემოდიოდა ჰაერი, ჩაიკეტა. შეჩერდით, ხალხო! ეს რა უბედურებაა!

ეს ელისაშვილი ყველაფერში კი არ ტყუის. მალე ქალაქი გახდება ინფექციის წყარო, თუმცა ახლაც არ გვაკლია ვირუსები. როდესაც ნარმანიას ვირჩევდით, სულ ამაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ არაფერი გვეშველა.

გულშემატკივრებმა ამოიღონ ხმა. ასე გაგრძელება როდემდე, ერთმანეთის კინკლაობა მხოლოდ, ამაზე კი ხმას არავინ იღებს. ნუთუ ამას ვერ ხედავენ.

გადასასვლელ გზაზე ნემსს ვერ ჩააგდებ. დუბროვნიკი საუკუნეებია შემონახულია, როგორც ძველი ქალაქის ექსპონატი. შემოვინახოთ სოლოლაკი, როგორც ძველი თბილისი. საერთოდ დაკარგა ქალაქმა თავისი იერსახე. ვამაყობდით, რომ ლამაზი ქალაქი გვქონდა. სილამაზეს ვინ ჩივის, ჰაერი აღარ გვაქვს.

# ირინა ონაშვილს მანქანა დაუმტვრიეს

მის საქართველო 2003-ს ირინა ონაშვილს მანქანა დაუმტვრიეს. შემთხვევა დღისით თბილისში მოხდა.

მოდელის გაჩერებულ ავტომობილს უცნობმა პირმა დაარტყა, დააზიანა და დაამტვრია. შემთხვევის ფოტო ირინა ონაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– დღისით-მზისით გაჩერებული მანქანა რომ გეგულება გარეთ და გახვალ და... ყველამ ერთი გული დავუწეროთ ამის ინკოგნიტო ავტორს.

# ლიკა ყაზბეგი წარმატებულ ქალებს პოდიუმზე გამოიყვანს



სამოდელო სააგენტო „ლიკა ყაზბეგის“ მფლობელი ლიკა ყაზბეგი 7 დეკემბერს ბაბილო მიუზიქ ჰოლში მეცხრედ ჩაატარებს თავის პროექტს „წარმატებული ქალი პოდიუმზე“, სადაც სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ლამაზ ქალებს გააცნობს საზოგადოებას.

ამ დღეს ლიკა ყაზბეგი ერთდროულად რამდენიმე პროექტს განახორციელებს და მას საკუთარ დისშვილს, ბალერინა თათა ჯაშს მიუძღვნის. თათა ფართო საზოგადოებამ უკვე გაიცნო პროექტით „შენ შეგიძლია ცეკვა“, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო.

წარმატებული ქალი პოდიუმზე, მამაკაცების ჩვენება და კომპანიის სახე – ეს სამი ღონისძიება ლიკა ყაზბეგმა გააერთიანა და ბაბილო მიუზიქ ჰოლში მისულ საზოგადოებას პროექტში მონაწილე პერსონებს წარუდგენს.

პროექტში მონაწილეები მაკა ნაცვლიშვილის კოსტიუმებს ჩაიცვამენ და პირველად გამოვლენ პოდიუმზე ბეწვეულში.

საღამოს თათა ჯაში ცეკვით გახსნის. მას შეენაცვლებიან ლიკა ყაზბეგის სამოდელო სააგენტოს პატარა მოდელები. ბავშვების შემდეგ პოდიუმს დაიკავებენ საქმიანი ადამიანები, რასაც მოჰყვება მამაკაცების პოდიუმზე გამოსვლა და საღამო წარმატებული ქალების პოდიუმზე გამოსვლით დაგვირგვინდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### სამი წლის ბიჭისა და ძაღლის მეგობრობა პოპულარობას იხვეჭს



სამი წლის პორტლენდელი ბიჭი, ბადი, ამერიკის ორეგონის შტატიდან და მისი ძაღლი, სახელად რიგანი, სულ უფრო მეტად პოპულარული ხდებიან ინსტაგრამში. მათი ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების გამოქვეყნება სოციალურ ქსელში ბავშვის მშობლებმა ერთი წლის წინ დაიწყეს.

ძაღლი, რომელიც სენდი და ერიკ სვირიდოფებმა რვა თვის აიყვანეს ცხოველთა თავშესაფრიდან, ერთი ნაბიჯითაც არ შორდება თავის პატრონს. ბიჭი და მისი ძაღლი ყველაფერს ერთად აკეთებენ. ასევე აკაუნტში რეგულარულად იბეჭდება სხვადასხვა კოსტიუმსა და თავშესაქცევ სიტუაციაში მყოფი ძაღლის ფოტოებიც.

გვერდზე ბავშვისა და ძაღლის ცხოვრების ამსახველ ინფორმაციებს თვალს 100 ათასზე მეტი ადამიანი ადევნებს.

სენდი სვირდოფი ბადისა და რიგანის ფოტოსურათებს აგროვებს წიგნისთვის, რომლის გამოცემაც მას 2017 წლისთვის აქვს დაგეგმილი, ხოლო მთელი მიღებული შემოსავალი ქველმოქმედებას მოხმარდება. ერთი ეგზემპლარის ფასი 20 დოლარი იქნება. მისი თქმით, წიგნში ასევე შევა სურათები, რომლებიც ორი წლის წინაა გადაღებული და რომლებიც ჯერ არავის უნახავს.

### ამერიკელი მძარცველი ტბაში ჩახტა და თავს მეთევზედ ასაღებდა




ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დელტონში მძარცველი, რომელსაც პოლიცია მისდევდა, ტბაში დაიმალა და შეეცადა, თავი მეთევზედ გაესაღებინა.

29 წლის შონ ტორესი შეეცადა, წვრილმანების მაღაზია, რომელშიც ნივთების ფასი ერთ დოლარს არ აღემატება, გაეძარცვა, მაგრამ – წარუმატებლად. გამყიდველმა მისი მუქარები არ ირწმუნა და ფული არ მისცა. მამაკაცი იძულებული გახდა, იქაურობას ხელცარიელი გასცლოდა.

ტორესის მოსაძებნად პოლიციამ შვეულმფრენი ჩართო. მალე შენიშნეს უილბლო მძარცველი, რომელიც წყალსატევის მახლობლად იმყოფებოდა. როდესაც პოლიციელები მას წამოეწივნენ, მამაკაცი წყალში ჩახტა და ჩაყვინთა. ამ დროს წყლის ზევით მხოლოდ მისი თავი ჩანდა.

სამართალდამცავები დაინტერესდნენ, თუ რით იყო დაკავებული, ტორესმა უპასუხა, რომ თევზს იჭერდა, ხოლო მისი ანკესი იმიტომ არ ჩანდა, რომ წყლის ქვეშ იმყოფებოდა. მან ასევე განაცხადა, რომ დაინახა დამნაშავე, როდესაც მან თითქოსდა ახლოს ჩაურბინა. როდესაც მიხვდა, რომ მისი ისტორიის არავის სჯეროდა, წყლიდან ამოვიდა და პოლიციას ჩაბარდა.

### ჯასტინ ბიბერმა ინსტაგრამი ჯოჯოხეთად გამოაცხადა



კანადელმა მომღერალმა ჯასტინ ბიბერმა სოციალური ქსელით სარგებლობაზე უარის თქმა იმით ახსნა, რომ ინსტაგრამი ეშმაკისაა.

– მე ვფიქრობ, რომ ინსტაგრამი ჯოჯოხეთია, – განუცხადა პოპულარულმა მუსიკოსმა თავის თაყვანისმცემლებს და იქვე დაამატა, – ამაში 90 პროცენტით ვარ დარწმუნებული.

– ჩვენ ჯოჯოხეთში გვიშვებენ და ინსტაგრამის სერვერში დატყვევებულები ვხდებით, – განმარტა ბიბერმა, – მე პირად შეტყობინებებში ვიჭედები, იქიდან თავის დაღწევას ვცდილობ, მაგრამ ვერ ვახერხებ.

22 წლის მომღერალმა ტურნე დაასრულა და ახლა იმაზე ფიქრობს, თუ რა აკეთოს საახალწლო კონცერტის შემდეგ.

– არაფერს გავაკეთებ. დავწვები აუზთან, სურათებს გადავიღებ ინსტაგრამისთვის და მათ ინტერნეტში არ ჩავტვირთავ, – განაცხადა მან.

### ანჯელინა ჯოლიმ წონაში 34 კილოგრამი დაიკლო



ჰოლივუდის მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ, რომლის სიმაღლე 169 სანტიმეტრს არ აღემატება, წონაში 34 კილოგრამი დაიკლო. ამ ინფორმაციას მსახიობის გარემოცვაზე დაყრდნობით ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.

როგორც ონლაინგამოცემას ანონიმმა ინფორმატორმა განუცხადა, მსახიობის წონაში ასეთი დაკლება ბრედ პიტთან მისი განქორწინებისა და ბავშვებზე მეთვალყურეობის უფლების მიღების პროცესს უკავშირდება.

41 წლის ჯოლი განსაკუთრებით გაანაწყენა ფბრ-ის მიერ წარმოებული გამოძიების დასრულებამ, რომელიც პიტის უფროსი შვილის, 15 წლის მედოქსისადმი სასტიკ მოპყრობას შეეხებოდა. საბოლოოდ ბრედ პიტს ბრალდება არ წარედგინა.

– ანჯელინა თმებს იპუტავდა, როდესაც შეიტყო ფბრ-ის გადაწყვეტილების შესახებ. ის პირდაპირ გაცოფებული იყო, – განუცხადა გამოცემას ანონიმმა ინფორმატორმა.

აღსანიშნავია, რომ ჯოლის ადრეც ჰქონია უმადობასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ მას შემდეგ, რაც პიტთან განქორწინების პროცესი დაიწყო, საკვების მიღებაზე საერთოდ უარი თქვა, უფრო ადრე კი მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტრესული მდგომარეობის გამო მსახიობი ძალიან ბევრს ეწევა.

### ბელგიური ლუდი იუნესკოს მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვდა



ბელგიური ლუდის ხარშვის კულტურა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაში შევიდა. ამ ინფორმაციას ორგანიზაციის ვებგვერდი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ლუდი ქვეყნის ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს და ბელგიაში ამ სასმელის დაახლოებით 1,5 ათას სახეობას აწარმოებენ. მას ასევე იყენებენ კულინარიასა და რამდენიმე სახის ყველის წარმოებაში.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიის მთავარ მიზანს იმ ობიექტის დაცვა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, უნიკალურია. 2015 წლის მონაცემებით, ჩამონათვალში 1031 პუნქტია შესული.

### ავსტრალიელს მედუზა სილიკონის იმპლატანტი ეგონა



ავსტრალიელმა ზღვის ნაპირზე ნაპოვნი მედუზა დაღუპული ქალის მკერდის იმპლატანტად მიიჩნია.

მამაკაცი ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ მარდუჩიდორის პოლიციის განყოფილებაში მივიდა და წარადგინა პაკეტი, რომელშიც მომრგვალებული ფორმის სლიპინა საგანი იდო. მან სამართალდამცავებს აცნობა, რომ პლაჟზე მკერდის იმპლატანტი იპოვა, რომელიც, შესაძლოა, წყალში დამხრჩვალ ან მოკლულ ქალს ეკუთვნოდა.

გამომძიებლებმა ნაპოვნი საგანი შეისწავლეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საქმე მკვდარ მედუზასთან ჰქონდათ.

ზღვის ცხოველების სპეციალისტმა, რომელსაც ჟურნალისტები დაუკავშირდნენ, ივარაუდა, რომ საუბარია ავსტრალიაში გავრცელებულ სახეობა ჩატოსტყლუს მოსაიცუს-ზე. გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ მედუზას არ ჰქონდა საცეცები, რომლებიც, სავარაუდოდ, ან ხმელეთზე გამორიყვის დროს მოსძვრა, ან თევზებმა მოაჭამეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი
5 დეკემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**ერთხელ წრეზე**"

**08.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **09.00** დ/ფ "ლეტეცია დ მისი მგლები" **10.00** დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **12.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **23.00** მხ/ფ "**შავ-თეთრი**" **01.00** მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" **02.45** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნიჭიერი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ავატარი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლურჯის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.00** სერ. "**სერ.** "**ქერჩი**" " **1.20** მხ/ფ "**მეფე არტური**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-დაფარულთა მცნობელობის შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** სპექტაკლი "**ბრძოლა ტახტისთვის**" **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.30** პატერიკი-გლახაკების მიმართ მოწყალე ასმაგად მიიღებს **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა (ციკლური გადაცემა) **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "მელოურის მღვიმე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30**"ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5599

ევრო — 2.7250

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2283

100 რუსული რუბლი — 3.9854

## ამინდის პროგნოზი 5 დეკემბრისთვის





## 6 დეკემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ემილ ზოლა

ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი



ვატსონი შერლოკ ჰოლმსს ეკითხება:

– მე მესმის, რატომ აიღო ქურდმა სეიფიდან ფული და ძვირფასეულობა, მაგრამ, ვერ გამიგია, რატომ გაიყოლა ლორდის მეუღლე?

– ელემენტარულია, ვატსონ! ლორდმა რომ არ მოძებნოს!

●●●

ცოლმა კონიაკის ბოთლი მაცივარში შედგა, ქმარს გახედა და ეუბნება:

– იცოდე, ამას ახალ წლამდე თითს ვერ დააკარებ!

კაცი ადგა, შარვალი ჩაიხადა, ცოლს დაანახა და ეუბნება:

– იცოდე, ამას რვა მარტამდე თითს ვერ დააკარებ!

●●●

თუ თქვენს უბანში ქუჩაზე დააგეს ასფალტი, შეღებეს სახლები, გააკეთეს ახალი ღობე და გახსნაზე არავინ მოვიდა, ე.ი. გერმანიაში ხართ.

●●●

ქმარი ცოლს გასძახებს:

– ძვირფასო, შენი საყვარელი ტორტი ოთხად გავჭრა თუ რვად?

– ოთხად გაჭერი, რვას ვერ შევჭამ.

●●●

საწოლში მწოლიარე ცოლი ქმარს უხმობს:

– ჩემო ფისუნია, მოდი ჩემთან...

– ოდესმე თავი აგტკივდება? – ამოიოხრა ქმარმა.

●●●

კინოთეატრში მაყურებელი ფილმს უყურებს. მოულოდნელად ხმა გამოირთო. უცბად დარბაზში ისმის:

– ვის აქვს პულტი?!

●●●

ერთი დაქალი მეორეს შესჩივის:

– საკმარისია, ჩემთან მამაკაცმა გაათიოს ღამე და ყველა მეზობელმა იცის, მაგრამ, ბინას რომ გაგიქურდავენ, მაშინ ყველას სძინავს და არაფერი ესმის!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 1 დეკემბრიდან

# ჯაშუშები და ჯაშუშობა



კლაივ გიფორდი

„ჯაშუშები და ჯაშუშობა“ სახალისო და შემეცნებითი წიგნია, რომელიც გაგაცნობთ სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს, გიამბობთ ისტორიაში ყველაზე განთქმულ ჯაშუშთა ბიოგრაფიებს.

გაიგებთ, თუ როგორ იყენებენ ისეთ უცნაურ იარაღებს, როგორებიცაა: თოფი-პომადა, სხეულში რადიოჩამონტაჟებული ცოცხალი კატა.

შეიტყობთ ყველაზე გახმაურებული სპეცოპერაციების შესახებ და გაეცნობით უამრავ საიდუმლო ინფორმაციას.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## სერია „ცამეტის“ წიგნი

## 25 ნოემბრიდან



პირველად ქართულ ენაზე!

# ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს



## სერია „ცამეტის“ წიგნი

## 2 დეკემბრიდან

თომას ჰარისი

# კრავთა დუმილი



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს


## რონალდუსა და მოურინიოს მაქინაციებში ადანაშაულებენ



გერმანულმა შპიგელმა პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ 150 მილიონი ევროს გადასახადების დამალვაში დაადანაშაულა.

გამოცემის ინფორმაციით, რონალდუ თავისი აგენტის ჟორჟე მენდეშის სქემით მოქმედებდა და 150 მილიონი ევროს ოდენობის გადასახადები შვეიცარიასა და ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორული ზონების საშუალებით დამალა.

წყაროს ცნობით, ფინანსურ მაქინაციებში მანჩესტერ იუნაიტედის ამჟამინდელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიოც ფიგურირებს, რომლის აგენტიც ასევე ჟორჟე მენდეშია. ისიც მისი გეგმით მოქმედებდა. გამოცემა პორტუგალიელ მწვრთნელს 12 მილიონი ევროს დამალვაში ადანაშაულებს.

ჯერჯერობით ამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიება არ დაწყებულა.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ნერვული თხა იხვის კოსტიუმით დააწყნარეს



თხა, სახელად პოლი, რომელიც ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთ ცხოველთა თავშესაფარში ცხოვრობს, ინტერნეტში პოპულარული იხვის კოსტიუმის მიმართ თავისი დამოკიდებულებით გახდა.

თავშესაფრის მფლობელები უპატრონო თხებს აგროვებენ და ისე უვლიან, როგორც შინაურ ცხოველებს. პოლის კი ნევროლოგიური პრობლემები აწუხებს, ასევე აქვს მხედველობისა და წონის ნაკლებობის პრობლემა, გარდა ამისა, ძალიან ნერვულია.

ერთხელ თავშესაფრის პატრონი სუპერმარკეტში წავიდა და თხაც თან გაიყოლა. იქ ის ბავშვებისთვის განკუთვნილმა იხვის კოსტიუმმა დააინტერესა, რომელიც მაღაზიაში იყიდებოდა. როდესაც მან კოსტიუმი თხას ჩამოაცვა, ის იმ წამსვე დამშვიდდა.

– თუ პოლის პლედში ან მაისურში გაახვევთ, უკეთესად ხდება, მაგრამ იხვის კოსტიუმი მასზე გაცილებით ეფექტურად მოქმედებს, – განაცხადა თავშესაფრის პატრონმა.

მოგვიანებით პოლისთვის კიდევ სამი კოსტიუმი შეიძინეს: მარტორქის, ღორისა და მელიის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. ათი ხარისხად 36 (ინგლისში, გერმანიაში, ...); 7. ერთგვარი თუთიყუში; 8. თეატრი პარიზში; 9. ზღვის მეკობრე; 13. თურქული ტელესერიალი; 14. აზიის მთიანეთში გავრცელებული ველური ცხვარი; 18. აშშ-ის თავდაცვის უწყება; 19. რისამე დროებით შეწყვეტა; 21. ძვირფასი მინა; 22. წყაროს წყალი; 23. დიდი ხერხი; 24. რაიმე თეორიის ძირითადი დებულება.

**შვეულად:** 1. მოკლე მოსასხამი; 2. ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (აშშ); 3. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 4. რისთვისაც ფუტკარი ყვავილებს სტუმრობს; 5. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა; 10. მონარქის ტიტული სპარსეთში; 11. რისამე საზომი; 12. ქალაქი-პორტი იტალიაში; 15. იაპონური სამსიმიანი საკრავი; 16. დაქირავებული გემით გადაზიდული ტვირთი; 17. სატანვარჯიშო იარაღი; 20. კათოლიკური ჯვარი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*